

ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა

მუსტიის მუნიციპალიტეტი

2020



სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას. პროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტშიც ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა.

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	8
მეთოდოლოგია.....	9
თვისებრივი კვლევის შედეგები	12
ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები	12
ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები	15
ახალგაზრდების ჩართულობა.....	17
მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები.....	18
დასკვნა.....	19
რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	22
ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები	22
ახალგაზრდების მდგომარეობის ზოგადი შეფასება.....	22
ახალგაზრდების მონაწილეობა.....	23
მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები.....	26
მოხალისეობა.....	28
გართობისა და დასვენების შესაძლებლობები	28
დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები	31
სპორტული აქტივობები	32
მაგნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება.....	33
ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა	33
ტექნოლოგიებთან წვდომა.....	33
დისკრიმინაცია/ჩაგვრა.....	34
დასკვნა.....	34
დანართი.....	38

კვლევის ძირითადი მიგნებები

ახალგაზრდების მდგომარეობის ზოგადი შეფასება

- მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 44%-ის შეფასებით, ზოგადად, ახალგაზრდების მდგომარეობა მესტიის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია, 24%-ის თქმით არადამაკმაყოფილებელი, ხოლო 27% ახალგაზრდების მდგომარეობას შუალედურად აფასებს.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს, რომ აქვს შესაძლებლობა, აკეთოს საყვარელი საქმე (70%) და აქვს შესაძლებლობა, თავისუფალი დრო გაატაროს საკუთარი სურვილის შესაბამისად (77%).
- ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობს (85%).
- ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი (77%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აქვს საკუთარი შემოსავალი და ოჯახის დახმარების გარეშე შეუძლია ირჩინოს თავი.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რეგიონში სასურველი სამუშაოს პოვნა შესაძლებელია (77%).
- კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას. გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დასაქმების (43%), ახალგაზრდული სივრცეების არარსებობას (31%), სამედიცინო მომსახურებას (30%), სკოლის ინფრასტრუქტურას (18%), დაბინძურებულ გარემოს (17%) და მუნიციპალიტეტში/სოფელში სკვერის არ არსებობას (16%) ასახელებენ.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბრისას სხვდასხვა საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები.
- ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობაზე. მათი ნაწილი ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მუდმივად დაკეტილია, ასევე არ არსებობს წიგნის მაღაზია. არასრულწლოვანი რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიღება, რადგან არ არსებობს შესაბამისი სივრცეები.
- რესპონდენტების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა.
- ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზეც. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. რამდენიმე

რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ნაკლებობაზე მუნიციპალიტეტში.

- რესპონდენტების ნაწილის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, გზების გაუმართაობა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის.
- რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლს, რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს - ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ტრანსპორტის პრობლემა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დაკავშირებულია სკოლებში კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობასთან. მისი განცხადებით, ჩამოთვლილი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ სოფლებში დგას.

ახალგაზრდების მონაწილეობა

- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ასევე, გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (90%) მიაჩნია, რომ, ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა მნიშვნელოვანია.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით.
- გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია, მათ შორის, 10% თვლის რომ სრულიად გათვალისწინებულია, ხოლო 51%-ის აზრით, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა.
- ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის.
- გამოკითხულთა 15% ამბობს, რომ კარგად იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, 45% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) თქმით, ცოტა იცის, ხოლო 12%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში.
- გამოკითხული ახალგაზრდების 17% აცხადებს, რომ კარგად იცის, თუ რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, 44% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) განმარტებით ცოტა რამ იცის, ხოლო 9%-ის განცხადებით საერთოდ არ იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება.
- გამოკითხულთა 19% ამბობს, რომ კარგად იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა მოელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, 26% აცხადებს, რომ ცოტა რამ იცის აღნიშნული საკითხის შესახებ, ხოლო 7%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა მოელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.
- გამოკითხული ახალგაზრდების 27% ამბობს, რომ კარგად იცის, სად და როგორ მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, ხოლო 18% ფიქრობს, რომ ცოტა რამ იცის ამ საკითხის შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების 7%-ის განცხადებით კი

საერთოდ არ იციან, სად და როგორ შეიძლება, მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ.

- გამოკითხულთა 31% ამბობს, რომ კარგად იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს, 39%-ის ფიქრობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, 14% ამბობს, რომ ცოტა რამ იცის, ხოლო 7%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს.
- სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით, ყველაზე ხშირად გამოკითხულმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ დაესწრნენ საჯარო შეხვედრას (23%), მიიღეს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში (23%), მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობებში (17%).
- გამოკითხულთა 60% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული არ ყოფილა. აღნიშნულის მიზეზად ყველაზე ხშირად თავისუფალი დროის არქონას (33%) ასახელებენ. 28% კი ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება. 13%-ის განცხადებით კი გვიან გაიგო აღნიშნული აქტივობის შესახებ.
- გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა.
- გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ ახალგაზრდული პროექტის ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის არ მიუმართავს.
- გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (24%) კი ამბობს, რომ მიუმართავთ ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის. მათგან ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად მიმართეს (61%), ასევე ხშირად მიუმართავთ ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (47%), ტექნიკური მხარდაჭერისთვის (29%) და ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (27%).
- რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელსაც არ მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე ინიციატივით (73%), მათი ძირითადი ნაწილი არმიმართვის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ასეთი ინიციატივა არ გასჩენიათ (43%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა.
- გამოკითხულთა 17% ამბობს, რომ თვეში ერთხელ მაინც მოხალისეობს, 29% - სამ თვეში ერთხელ, 12% - ნახევარ წელში ერთხელ, 18% კი - წელიწადში ერთხელ.

- ახალგაზრდების ნაწილი, ვინც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს (53%) ასახელებენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (58%), სარგებლობენ სოციალური ქსელებით (57%), უყურებენ ტელევიზორს (36%), უსმენენ მუსიკას (36%) და კითხულობენ წიგნს (32%).
- გამოკითხული ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა მონაწილე ან ორგანიზატორი შემოქმედებით-სამოყვარულო ხელოვნების ღონისძიებებში. მათგან ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ღონისძიებებში შემდეგ აქტივობებს აკეთებდნენ: ცეკვა (49%), სიმღერა (33%), ფილმის გადაღებაში მონაწილეობა (19%) და თეატრალურ სპექტაკლში როლის შესრულება (10%).
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (77%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში დასწრებია რაიმე კულტურულ ღონისძიებას. მათგან ყველაზე ხშირად დაესწრნენ ცეკვის კონცერტს (67%), სიმღერის კონცერტს (54%), ეწვივნენ მუზეუმს ან გალერეას (51%) და იყვნენ თეატრში (20%).
- კითხვაზე გასული 12 თვის განმავლობაში ეწვიეთ თუ არა ბიბლიოთეკას, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (23%) ამბობს, რომ რეგულარულად სარგებლობს ბიბლიოთეკით, 39%-ს განცხადებით კი გასული 12 თვის განმავლობაში რამდენჯერმე უსარგებლია ბიბლიოთეკით, ერთხელ ისარგებლა 9%-მა, ხოლო საერთოდ არ ყოფილა 20%.
- გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, (52%) ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის (44%), ველობილიკებისა (42%) და შემოქმედებითი წრეების (31%) არსებობა სურთ მუნიციპალუტეტში. ასევე, ხშირად დასახელდა ბიბლიოთეკისა (26%) და ბანაკების (21%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი.
- გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, პრობლემურია ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. მათი განცხადებით, ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილების არარსებობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შემოდგომასა და ზამთარში, როდესაც ტურისტული სეზონი მთავრდება.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- მესტიის მუნიციპალიტეტის სრულწლოვანი გამოკითხული ახალგაზრდების 44% ამბობს, რომ დასაქმებულია.
- 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (38%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 59% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.
- 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზე. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს.

სპორტული აქტივობები

- მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი, საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.
- მათგან, ვინც აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით არის დაკავებული, 16% უარს აცხადებს დააკონკრეტოს რომელი ფიზიკური აქტივობითაა დაკავებული, 35%-ის განცხადებით, დარბის, 17% ამბობს, რომ თამაშობს ფეხბურთს, 15%-ის განცხადებით, თამაშობს ფრენბურთს, ხოლო 13% ამბობს, რომ ტრენაჟორებით ვარჯიშობს, ასევე 13% ლაშქრობას უთმობს დროს.
- რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული.
- სასურველ სპორტულ აქტივობაში ჩაურთველობის მიზეზად ახალგაზრდები შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობას (45%), არასაკმარის დროს (33%), ინფრასტრუქტურის არარსებობას (28%) და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობას (28%) ასახელებენ.
- ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა.

მაგნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 81% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 53%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- გამოკითხულთა 26% ამბობს, რომ აზარტულ თამაშებს იშვიათად თამაშობს (სამ თვეში ერთხელ). ახალგაზრდების 27% კი ამბობს, რომ უთამაშია აზარტული თამაშები ინტერნეტით.
- რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხულთა 76% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს.

- მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), 69% აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა.

ტექნოლოგიებთან წვდომა

- გამოკითხული ახალგაზრდების 89% აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან.
- ახალგაზრდების 87% აცხადებს, რომ ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით აქვს, 32%-ის განცხადებით, ინტერნეტა წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან.
- ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად (54%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (53%), ახლობლებთან საკონტაქტოდ (49%), სასწავლო მასალების მოძიებისთვის (45%) და ახალი ამბების გასაცნობად (27%) იყენებენ.
- ახალგაზრდების 69% აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს.

დისკრიმინაცია/ჩაგვრა

- გამოკითხული ახალგაზრდების 84% აცხადებს, რომ არ განუცდიათ ჩაგვრა.
- მათგან, ვინც აცხადებს, რომ ჩაგვრა განუცდია (9%), ჩაგვრა უფროსი ადამიანის (47%) და მასწავლებლის (26%) მხრიდან განუცდიათ.
- ახალგაზრდების 62% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის ფაქტს.
- მათგან, ვინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს, 79%-ის განცხადებით, წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 8%-ს არაფერი გაუკეთებია.
- ახალგაზრდები აცხადებენ, რომ სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის მიზეზი იყო გარეგნობა (44%), აქცენტი და საუბრის მანერა (18%), პოლიტიკური შეხედულებები (12%) და შეზღუდული შესაძლებლობები (11%).

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის 211 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის

თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა, კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. მესტიის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 211 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში¹ (14-17, 18-25 და 26-29 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

¹ 26-29 წლის ასაკობრივ კატეგორიებთან ფოკუს ჯგუფი ვერ შედგა, ვინაიდან, სავსე სამუშაოების დროში შეზღუდულობიდან გამომდინარე, დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის ისეთი ახალგაზრდების მოძიება, რომლებიც ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას მიიღებდნენ.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საერთო რაოდენობაა 1972. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 235 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 211-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კვლევი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;
- 18-25 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 26-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მესტიის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა ივნისი-აგვისტოს პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლები მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში ერთ წელზე მეტ ხანს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 3 წელია, რაც კონკრეტულ პოზიციაზე² მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს და მესტიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- საჯარო ბიბლიოთეკების არარსებობა, საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობა, წიგნის მაღაზიების ნაკლებობა;
- ხარისხიანი განათლებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- თავისუფალი სივრცეებისა და გართობის საშუალებების ნაკლებობა (კაფე-ბარი, სკვერები, სკეიტ პარკი, ველო ტრასა);
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა;
- გზის პრობლემა;
- სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზის და სპორტ დარბაზების არარსებობა;
- დასაქმების პრობლემა;
- ტრანსპორტის პრობლემა;
- ხარისხიანი ინტერნეტის პრობლემა
- ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები.

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. მათი განცხადებით, ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილების არარსებობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შემოდგომასა და ზამთარში, როდესაც ტურისტული სეზონი მთავრდება. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ყოფნას, ფილმების ყურებას, წიგნის კითხვას და მუსიკის მოსმენას უთმობს. აღსანიშნავია, როგორც არასრულწლოვანი ახალგაზრდების, ასევე სრულწლოვანი რესპონდენტების თქმით, სრულად არიან დაკავებული საოჯახო საქმეებით.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი

² რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

სივრცეები. მათი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს ერთი სკვერი, რაც საკმარისი არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, კარგი იქნება თუ მოეწყობა სკვეიტ პარკი და ველო ბილიკები.

ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობაზე. მათი ნაწილი ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მუდმივად დაკეტილია, ასევე არ არსებობს წიგნის მაღაზია. არასრულწლოვანი რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიღება, რადგან არ არსებობს შესაბამისი სივრცეები. 18-25 წლის ერთ-ერთი ახალგაზრდა ამბობს, რომ არ არსებობს მოსამზადებელი ცენტრი, სადაც აბიტურიენტი შეძლებს მოემზადოს. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. მისი განცხადებით, მესტიაში განვითარებული იყო ხელსაქმე, მეცხოველეობა და სხვა საქმიანობები, ეხლა კი ყველა ტურიზმის სფეროშია ჩართული, რაც პრობლემას წარმოადგენს. მისი განცხადებით, აღნიშნული პრობლემა უფრო ნათელი გახდა პანდემიის დროს, როცა იყო ტურისტების ნაკლები რაოდენობა.

რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს არ ეძლევათ თავიანთი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. თუმცა ერთ-ერთი არასრულწლოვანი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ როდესაც წრეები იხსნება, ახალგაზრდების მხრიდან დიდი დაინტერესება არ არის, შესაბამისად, მალევე იხურება. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან ტურიზმის სფეროში და საკუთარი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მესტიაში ნაკლებად ტარდება კულტურული ღონისძიებები. მისი თქმით, იყო შემთხვევა, როცა მესტიაში საჯარო ლექცია გაიმართა, რომელსაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაესწრო, რაც მსგავსი ღონისძიებების საჭიროებაზე მიუთითებს.

რესპონდენტების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა. მათი განცხადებით, მესტიაში არის ორი სტადიონი და ერთი პარკი, რაც საკმარისი არ არის.

კვლევის მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზე. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. რამდენიმე რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ნაკლებობაზე მუნიციპალიტეტში. ერთ-ერთი ახალგაზრდა აცხადებს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადართულია ტურიზმის სექტორზე და სხვა სფეროებს ნაკლებად ეთმობა ყურადღება. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს პროფესიონალი ფოტოგრაფი ან ვიდეო გადამღები და ქორწილისა თუ სხვა ღონისძიების ჩატარებისას თბილისიდან ჩამოჰყავთ. ასევე, მუნიციპალიტეტში არ არსებობს სტამბა და რესტორნის მენიუს ან სხვა ნებისმიერი რამის ბეჭდვის სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივები ზუგდიდში მიდიან. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ ქიმიის მასწავლებელს, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი კადრი ვერ იპოვეს და ბოლოს თბილისიდან ჩამოიყვანეს.

რესპონდენტების ნაწილის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, გზების გაუმართაობა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით კი, პრობლემაა ხარისხიან ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ასევე არსებობს ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის პრობლემაც. ასევე, რამდენიმე რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მათი განცხადებით, რამდენიმე სოფელში ნაგვის ურნებიც არ არის.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ნაკლებად განსხვავდება ახალგაზრდის სქესისა და ასაკის მიხედვით. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნული პრობლემები უფრო მწვავედ დგას სოფლებში, ვიდრე თავად მესტიაში.

„ინფრასტრუქტურის პრობლემაა, არ არის სივრცე, სადაც შეძლებენ ახალგაზრდები შეკრებას. (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და ა.შ) რაც შეეხება გარემოს დაცვას, ზოგ სოფელში ნაგვის ურნებიც კი არ არის.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ხაიში, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„დასაქმების პრობლემა არამხოლოდ ახალგაზრდებში, არამედ ყველა ასაკშია. ჩვენ ასაკში არიან ან მენეჯერები, ან მიმტანები. უფროსი თაობა - სასაზღვრო პოლიციაში ან საგანგებო სიტუაციების მხრივ. ადამიანების იმ ნაწილს, რომელსაც ფიზიკურად არ შეუძლია აქ დასაქმება, რჩებიან უმუშევრები. სხვა გასაქანი არ არის.“ (ქალი, 20 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

პროფესიული დასაქმების პრობლემაა, არ არის კადრები. ქიმიის მასწავლებლის ვაკანსია დევს სკოლაში დიდი ხანია და ფიზიკურად არ არსებობს კვალიფიციური კადრი. თბილისიდან ჩამოიყვანა განათლების სამინისტრომ მასწავლებელი.“ (კაცი, 22 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„არ არის ბევრი რამ ხელმისაწვდომი, მაგალითად განათლება. კი, ონლაინ შეიძლება ბევრი რამის სწავლა, თუმცა ყველას არ აქვს მაგის სტიმული. ამიტომაც კარგი იქნება ადგილზე რომ იყოს. არც ჰობის გაჩენის საშუალება არ არის ან ცოდნის გაღრმავების. ერთადერთი არის ტურიზმით დაკავების და ბუნებასთან ურთიერთობის შესაძლებლობა.“ (ქალი, 26 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, საჭიროა მეტი აქტიურობა ახალგაზრდების მხრიდან. ასევე, რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, კერძო სექტორიც უნდა იყოს ჩართული პრობლემების მოგვარებაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს სთხოვეს. მისი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს. რესპონდენტის განცხადებით, მესტიის

მუნიციპალიტეტში სოფლები განფენილია შორ მანძილზე, ხოლო ინფრასტრუქტურა კი გაუმართავია. ასევე, არის ტრანსპორტის პრობლემა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. მისი თქმით, სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები მოკლებული არიან შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, რის შესაძლებლობაც დაბა მესტიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, პრობლემურია ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა. მისი თქმით, ნაკლებადაა ახალგაზრდებისთვის შეკრების და სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ადგილები. გარდა ამისა, რესპონდენტი პრობლემად ასახელებს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, რაც, მისი თქმით, დაკავშირებულია სკოლებში კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობასთან. რესპონდენტის განცხადებით, ტურიზმის სფეროს განვითარებამ ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების შექმნას, ამიტომ დასაქმების პრობლემა შედარებით ნაკლებად არის აქტუალური. მისი განცხადებით, ჩამოთვლილი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში.

„მანძილი ქმნის ყველაზე დიდი პრობლემას, და ის, რომ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. არ არსებობს ახალგაზრდების შეკრებისთვის და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების ადგილი. მოგეხსენებათ მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლები განფენილია ერთმანეთისგან შორ მანძილზე და ტრანსპორტის პრობლემაც არსებობს. მესტიის მუნიციპალიტეტში უფრო მეტი საჭიროების წინაშე დგანან სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები, ვიდრე დაბა მესტიაში მცხოვრები ახალგაზრდები. არის განათლების პრობლემაც. სკოლებში კვალიფიკაციური კადრების პრობლემა შეინიშნება ამ ბოლო დროს, სულ ეძებენ კადრებს. მას შემდეგ რაც ტურიზმის სფერო განვითარდა საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა დასაქმდა.“
(სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. მონაწილეების ნაწილი თავადაც არის აღნიშნული პროექტების მონაწილე. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა დაასახელეს სვანეთის ახალგაზრდული იდეის, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის, ახალგაზრდული ფრთის, ახალგაზრდები მთისთვის, სვანეთის სათემო ორგანიზაციის და ექსესის პროექტები. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროექტებს და ამბობენ, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი რესპონდენტები უფრო მეტად არიან ჩართული აღნიშნულ პროგრამებში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები.

კვლევის მონაწილეები აცხადებენ, რომ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა ყველა ახალგაზრდას შეუძლია და ბევრი არის კიდევ ჩართული. არასრულწლოვანი ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ამა თუ იმ აქტივობის შესახებ ფეისბუქის საშუალებით იგებენ, სადაც სპეციალური ჯგუფი აქვთ შექმნილი. რამდენიმე სრულწლოვანი რესპონდენტის განცხადებით, ყველა ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტივობებში, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს.

„მე ძალიან განმავითარა, ბევრი რამ ვისწავლე. ადამიანის ჩამოყალიბებაში მსგავსი პროექტები და ტრენინგები ძალიან დიდ როლს ასრულებს. ძალიან მეხმარება განვითარებაში, მეტად კომუნიკაბელური გამხადა. ახალ ურთიერთობებს უფრო ადვილად ვამყარებ და საუბარიც უფრო მიმარტივდება. ალბათ ეს ძალიან გვეხმარება იმაში, რომ განვვითარდეთ როგორც პიროვნულად, ისე სხვა ნებისმიერ საკითხში.“ (ქალი, 16 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ზოგადად ძალიან მომწონს პროექტების კეთება, რადგან მათ გასაკეთებლად საჭიროა ჯერ პრობლემა იპოვნო და მაქსიმალურად ეცადო რომ ეს პრობლემა აღმოფხვრა. ჩემი აზრით, აქაური ახალგაზრდები მაქსიმალურად ცდილობენ და აკეთებენ ამას.“ (ქალი, 14 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს, თუმცა კონკრეტულ მათგანზე არ საუბრობს. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტი ჩართულია სკოლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებაში. გარდა ამისა, როდესაც რაიმე მასშტაბური ღონისძიება ტარდება, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოფლიდან ახალგაზრდების ტრანსპორტირების საკითხს. ასევე მისი განცხადებით, პანდემიის პერიოდში ჰქონდათ მოხალისეობის პროგრამა, რომელშიც ახალგაზრდები იყვნენ ჩართული.

„ასე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ. ზოგადად მუნიციპალიტეტი ჩართულია, რომ სკოლის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. მოგეხსენებათ სკოლები განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან და თუ რაიმე ტექნიკური დახმარება სჭირდებათ, ვთქვათ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, საპირფარეოების კუთხით, მუნიციპალიტეტი აბსოლუტურად ჩართულია და სკოლების უმრავლესობას ეს პრობლემები მოხსნილი აქვთ.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მერიის ახალგაზრდული სამსახური ინფორმირებულია ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, თანამშრომლობენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იყენებენ მათ მიერ ჩატარებულ კვლევებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში ყავთ წარმომადგენელი, რომელთა დახმარებითაც ავრცელებენ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც ისაუბრეს მათ მიერ შეთავაზებულ აქტივობების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, ისინი სხვადასხვა პროგრამას ახორციელებენ ახალგაზრდებისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო და საქველმოქმედო აქტივობებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ინიციატივით მესტიაში მალე იფუნქციონირებს მესტიის რადიო. გარდა ამისა, ორგანიზაციას შეაქვს საკუთარი ინიციატივები მერიაში.

„ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 20-მდე ახალგაზრდა და ეს ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებას, ვიკვლევთ საჭიროებებს და ვაკეთებთ სხვადასხვა პროექტებს. ამ ეტაპზე ჯერჯერობით სხვადასხვა არასამთავრობოებში შევიტანეთ ჩვენი ბიზნეს იდეები. დაგვიფინანსეს მესტიის რადიო. კიდევ გვაქვს საქველმოქმედო პროექტი. კიდევ გვაქვს პროექტი და გვინდა, რომ მესტიის მთავარ ქუჩას დაერქვას „თავიუფალი ხალდეს ქუჩა“. შევიტანეთ მერიაში პეტიცია და სავარაუდოდ, იქნება განხილვა და დავარქმევთ ამ სახელს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ თვეში ერთხელ მართავენ შეხვედრებს ახალგაზრდებთან, სადაც მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ. რაც შეეხება პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მონაწილეთა ჩართვის პროცესს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და ელჩები თავად ავრცელებენ ინფორმაციას აქტივობების შესახებ.

ახალგაზრდების ჩართულობა

თავად კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდების მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა, მათი ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მაინც უნდა ხდებოდეს.

ახალგაზრდები აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა კითხოს ახალგაზრდებს აზრი მათი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, შემდეგ კი მიღებული შედეგები გამოიყენონ საქმიანობის დაგეგმვისას. ახალგაზრდების ამბობენ, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ბიუჯეტირების პროცესში.

„მნიშვნელოვანია გამოკითხვების ჩატარება, პრობლემების ანალიზი და მის აღმოსაფხვრელად პროექტების მომზადება. მსგავსი პროექტები იქნებოდა მისაღები და ნებისმიერში ჩავერთვებოდი სიამოვნებით.“ (ქალი, 16 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი აზრით, სათანადოდ არ არიან ჩართული და ეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ან მხოლოდ ახალგაზრდების ბრალი არ არის. ორივესია თანაბრად.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ხაიში, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ახალგაზრდებში არის სიზარმაცის პრობლემა, თუმცა მაინც უნდა მოხდეს ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის მართვის პროცესებში.“ (ქალი, 30 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. როგორც რესპონდენტი ამბობს, მათ ჰყავთ ყველა სოფელში აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან შეხვედრებს და ეხმარებიან მუნიციპალიტეტს ახალი იდეების გენერირებაში. რესპონდენტის განცხადებით, სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით და მისი თქმით, ახალგაზრდების მხრიდან დიდია დაინტერესება.

„ჩვენ ინფორმირება მოვახდინეთ ამ საკითხზე, რომ ხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა და საკმაოდ დიდი დაინტერესებაა. ყოველთვის მოდიან და გვეკითხებიან, რა ხდება და როგორ ხდება. ჩვენც შეძლებისდაგვარად გვაქვს ახალგაზრდებთან კონტაქტი. ბოლო პერიოდში კარგად მივდიოდით, მაგრამ ვირუსის გამო მესტიის მუნიციპალიტეტი რომ ჩაიკეტა, ცოტა შევჩერდით. ჩვენ შერჩეული გვყავს ყველა სოფელში კონკრეტული ახალგაზრდები, რომლებიც კონტაქტზე არიან ჩვენთან და სამუშაო შეხვედრებსაც ყოველთვის ესწრებიან. გვებმარებიან იდეების დონეზე, როგორ უნდა განვვითარდეთ და წავიდეთ ამ სტრატეგიის შემუშავების პროცესში.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდების მხრიდან დაინტერესება და ჩართულობის ხარისხი დიდია მათ აქტივობებში.

„აქტიური კომუნიკაცია გვაქვს მთელი სვანეთის მცხოვრებლებთან და ეს კომუნიკაცია უფრო ჩართულობას იწვევს და ბევრი მოხალისე ემატება. ბევრს უჩნდება სურვილი თვითონაც გააკეთოს მსგავსი კარგი საქმეები თავისი თემისთვის და მთელი სვანეთისთვის.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მერიის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სოფლებში მოეწყოს ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და დაგეგმავენ და განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. მისი განცხადებით, იგეგმება მესტიის თეატრში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით სპექტაკლების დადგმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სურთ გააკეთონ გიდების გადამზადების სასერთიფიკაციო პროგრამა სოფლად მცხოვრები მოსახლობლისთვის და ამ კუთხით ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას. ასევე, სურთ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი აცხადებს, ორგანიზაციას გააჩნია ოთხწლიანი სტრატეგია და აპირებენ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.

„რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გვინდა გვაწევრიანოთ. სხვადასხვა გრანტები გვინდა მოვიგოთ. ეს გიდების გადამზადება იქნება, სხვადასხვა ტურების გაკეთება, რომ დავაინტერესოთ ეს ხალხი სოფელში რომ ცხოვრობს და შემოსავალი არ აქვთ.“

*გიდების სერტიფიკატი ავალბინოთ და გავუჩინოთ შემოსავლის წყარო.“
(არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, მესტიის მუნიციპალიტეტი)*

დასკვნა

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა რამდენიმე პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობაზე. მათი ნაწილი ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მუდმივად დაკეტილია, ასევე არ არსებობს წიგნის მაღაზია. არასრულწლოვანი რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიღება, რადგან არ არსებობს შესაბამისი სივრცეები. რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს არ ეძლევათ თავიანთი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა.

კვლევის მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზეც. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტში კადრების ნაკლებობაზე.

ახალგაზრდების ნაწილის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, გზების გაუმართაობა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ასევე, რამდენიმე რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მათი განცხადებით, რამდენიმე სოფელში ნაგვის ურნებიც არ არის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, საჭიროა მეტი აქტიურობა ახალგაზრდების მხრიდან. ასევე, რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, კერძო სექტორიც უნდა იყოს ჩართული პრობლემების მოგვარებაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს სთხოვეს. მისი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს - ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ტრანსპორტის პრობლემა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული სივრცეების

მცირე რაოდენობა, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დაკავშირებულია სკოლებში კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობასთან. მისი განცხადებით, ჩამოთვლილი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ სოფლებში დგას.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. მონაწილეების ნაწილი თავადაც არის აღნიშნული პროექტების მონაწილე. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროექტებს და ამბობენ, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი რესპონდენტები უფრო მეტად არიან ჩართული აღნიშნულ პროგრამებში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები.

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს, თუმცა კონკრეტულ მათგანზე არ საუბრობს. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტი ჩართულია სკოლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებაში. გარდა ამისა, როდესაც რაიმე მასშტაბური ღონისძიება ტარდება, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოფლიდან ახალგაზრდების ტრანსპორტირების საკითხს. ასევე მისი განცხადებით, პანდემიის პერიოდში ჰქონდათ მოხალისეობის პროგრამა, რომელშიც ახალგაზრდები იყვნენ ჩართული.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც ისაუბრეს მათ მიერ შეთავაზებულ აქტივობების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, ისინი სხვადასხვა პროგრამას ახორციელებენ ახალგაზრდებისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო და საქველმოქმედო აქტივობებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ინიციატივით მესტიაში მალე იფუნქციონირებს მესტიის რადიო. გარდა ამისა, ორგანიზაციას შეაქვს საკუთარი ინიციატივები მერიაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ თვეში ერთხელ მართავენ შეხვედრებს ახალგაზრდებთან, სადაც მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ.

რაც შეეხება პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მონაწილეთა ჩართვის პროცესს, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობების შესახებ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით ავრცელებენ. მათი განცხადებით, თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში ყავთ წარმომადგენელი, რომელთა დახმარებითაც ავრცელებენ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. ერთ-ერთი

რესპონდენტი აცხადებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდების მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა, მათი ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მაინც უნდა ხდებოდეს.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. როგორც რესპონდენტი ამბობს, მათ ჰყავთ ყველა სოფელში აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან შეხვედრებს და ეხმარებიან მუნიციპალიტეტს ახალი იდეების გენერირებაში. რესპონდენტის განცხადებით, სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით და მისი თქმით, ახალგაზრდების მხრიდან დიდია დაინტერესება.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდების მხრიდან დაინტერესება და ჩართულობის ხარისხი დიდია მათ აქტივობებში.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მერიის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სოფლებში მოეწყოს ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და დაგეგმვენ და განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. მისი განცხადებით, იგეგმება მესტიის თეატრში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით სპექტაკლების დადგმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სურთ გააკეთონ გიდების გადამზადების სასერთიფიკაციო პროგრამა სოფლად მცხოვრები მოსახლობლისთვის და ამ კუთხით ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას. ასევე, სურთ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი აცხადებს, ორგანიზაციას გააჩნია ოთხწლიანი სტრატეგია და აპირებენ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 211 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს. მათგან 73 ახალგაზრდა (35%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 111 ახალგაზრდა (53%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 27 ახალგაზრდაა (13%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 50% - მდედრობითი სქესის, ხოლო 50% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დანართი, ცხრილი 2). რესპონდენტთა 53% მესტიის მუნიციპალიტეტში დაბის ტიპის დასახლებაში ცხოვრობს, 46% - სოფლებში (იხ. დანართი, ცხრილი 4). გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (78%), ხოლო 12% დაქორწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ახალგაზრდების მდგომარეობის ზოგადი შეფასება

გამოკითხული ახალგაზრდების 44%-ის შეფასებით, ზოგადად, ახალგაზრდების მდგომარეობა მესტიის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია, 24%-ის თქმით - არადამაკმაყოფილებელი, ხოლო 27% ახალგაზრდების მდგომარეობას შუალედურად აფასებს და ამბობს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მდგომარეობა არც დამაკმაყოფილებელი და არც არადამაკმაყოფილებელია (იხ. დანართი, ცხრილი 5).

გარდა ამისა, გამოკითხვის ფარგლებში ახალგაზრდებს სთხოვეს, ეპასუხათ, რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ³ დებულებებს მათი შესაძლებლობების შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს, რომ აქვს შესაძლებლობა, აკეთოს საყვარელი საქმე (70%), აქვს შესაძლებლობა თავისუფალი დრო გაატაროს საკუთარი სურვილის შესაბამისად (77%), აქვს საშუალება, რომ მიიღოს მისთვის საჭირო განათლება (54%). გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი (77%) კი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აქვს საკუთარი შემოსავალი და ოჯახის დახმარების გარეშე შეუძლია ირჩინოს თავი (იხ. დანართი, ცხრილი 6, 8, 9 და ცხრილი 11). დებულებების ნაწილი ახალგაზრდების მუნიციპალიტეტისადმი დამოკიდებულებებსა და მუნიციპალიტეტში არსებულ შესაძლებლობებს ეხებოდა. ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობს (85%).

ამავდროულად, მათი უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებებს, რომ რეგიონში სასურველი სამუშაოს პოვნა შესაძლებელია (77%), რომ მუნიციპალიტეტში არის სპორტული ცენტრი, სადაც შეუძლია ივარჯიშონ (78%), სურთ სოფლიდან/მუნიციპალიტეტიდან წასვლა (65%), სურთ საქართველოდან წასვლა (75%) (იხ. დანართი, ცხრილი 7, 10, 12, 13 და ცხრილი 14).

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას. გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დასაქმების (43%), ახალგაზრდული სივრცეების არარსებობის (31%), სამედიცინო მომსახურების (30%), სკოლის ინფრასტრუქტურის (18%), დაბინძურებულ გარემოსა (17%) და

³ პასუხები 4 ქულიანი სკალიდან 2 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1 „ვეთანხმები“, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 2 – „არ ვეთანხმები“.


მუნიციპალიტეტში/სოფელში სკვერის არარსებობას (16%) გამოჰყოფს. სხვა პრობლემებს კი უფრო იშვიათად ასახელებენ (იხ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

დასახელებული პრობლემების სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით; გრაფიკზე ნაჩვენებია 20 ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს სამი პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ახალგაზრდების მონაწილეობა

გარდა ზემოთაღნიშნული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში შეისწავლებოდა ახალგაზრდების მონაწილეობა და ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში. გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (90%) მიაჩნია, რომ ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა მნიშვნელოვანია. კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, სრულწლოვან რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 16 და ცხრილი 17).

ზოგადად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით. საინტერესოა, რომ უფრო მეტი 26-29 წლის რესპონდენტი ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით, ვიდრე 14-17 წლის რესპონდენტები (იხ. დანართი, ცხრილი 18).

გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია, მათ შორის, 10% თვლის რომ სრულიად გათვალისწინებულია, ხოლო 51%-ის აზრით, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა.

კვლევა ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობასა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობისთვის საჭირო საკითხების შესახებ მათ ინფორმირებულობას ზომავდა. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის (საერთოდ არ ვარ ჩართული - 23%, უფრო ჩართული ვარ, ვიდრე არ ვარ ჩართული - 40%) (იხ. დანართი, ცხრილი 26). გამოკითხულთა 15% ამბობს, რომ კარგად იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, 45% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) თქმით, ცოტა იცის, ხოლო 12%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში. საინტერესოა, რომ უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ამბობს, რომ კარგად იცის, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, ვიდრე არასრულწლოვნები (იხ. დანართი, ცხრილი 20). ასევე, გამოკითხული ახალგაზრდების 17% აცხადებს, რომ კარგად იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, 44% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) განმარტებით ცოტა რამ იცის, ხოლო 9%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება. ამ შემთხვევაშიც, უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ამბობს, რომ კარგად იცის, თუ რა სერვისებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, ვიდრე არასრულწლოვანი რესპონდენტები (იხ. დანართი, ცხრილი 21). ასევე, გამოკითხულთა 19% ამბობს, რომ კარგად იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა ელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, 26% აცხადებს, რომ ცოტა რამ იცის აღნიშნული საკითხის შესახებ, 7%-ის განცხადებით კი საერთოდ არ იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა ელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. ამ შემთხვევაში სრულწლოვანი ახალგაზრდების მკვეთრად მეტი წილი ამბობს, რომ კარგად იცის აღნიშნული საკითხი, ვიდრე არასრულწლოვანი ახალგაზრდები (იხ. დანართი, ცხრილი 23).

გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების 27% ამბობს, რომ კარგად იცის, სად და როგორ მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, ხოლო 18% ფიქრობს, რომ ცოტა რამ იცის ამ საკითხის შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების 7%-ის განცხადებით კი საერთოდ არ იცინ, სად და როგორ შეიძლება, მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი სრულწლოვანი ამბობს, რომ კარგად ინფორმირებულია მსგავსი საკითხის შესახებ, ვიდრე არასრულწლოვნები (იხ. დანართი, ცხრილი 24). რაც შეეხება ისეთი საკითხის შესახებ ინფორმირებულობას, როგორცაა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაპირებების შესრულება, გამოკითხულთა 31% ამბობს, რომ კარგად იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს, 39%-ის თქმით, მეტ-ნაკლებად იცის, 14% ამბობს, რომ ცოტა რამ იცის, ხოლო 7%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს (იხ. დანართი, ცხრილი 25). ზოგადად კი გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან

დაკავშირებით ყველაზე ხშირად სოციალური ქსელების საშუალებით (57%), ახლობლების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან (53%) და ინტერნეტის საშუალებით (41%) იღებენ (იხ. დანართი, ცხრილი 28_1 - ცხრილი 28_12).

კვლევა ასევე ეთმობოდა იმ სამოქალაქო აქტივიზმის სახეების გამოვლენას, რომელშიც ახალგაზრდები არიან ჩართული. ყველაზე ხშირად გამოკითხულმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ დაესწრნენ საჯარო შეხვედრას (23%), მიიღეს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში (23%), მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობებში (17%). სხვა სახის აქტივობები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2). რაც შეეხება ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხულთა უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული არ ყოფილა. საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი ახალგაზრდების მკვეთრად მეტი წილი ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, ვიდრე სრულწლოვანი ახალგაზრდები. ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) ამბობს, გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული იყო. 15%-ს კი კითხვაზე პასუხის გაცემა ან გაუჭირდა ან უარი თქვა (იხ. დანართი, ცხრილი 29).

მათ ვინც თქვეს, რომ მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (25%) სთხოვეს, შეეფასებინათ, მონაწილეობის ხარისხი შემდეგი დებულებების მიხედვით.

- ჩემი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყო ფორმალური, ზუსტად არ ვიცოდი, რა მიზანს ემსახურებოდა და არ ვიღებდი გადაწყვეტილებებს;
- ხელმძღვანელები ჩემგან იღებდნენ რჩევებს, თუ როგორ განხორციელებულიყო ესა თუ ის პროექტი, მაცნობდნენ მიმდინარე საკითხებს, მავლებდნენ გასაკეთებელ საქმეებს;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ჩემთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას გასაკეთებელ საქმეებზე, აქტიურად ვიყავი ჩართული დაგეგმილი პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე და ზოგჯერ ვიღებდი გადაწყვეტილებას;
- ჩემი ინიციატივით დაიგეგმა აღნიშნული პროგრამა/ინიციატივა/აქტივობა, ვიყავი ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიმღები პირი ყველა ეტაპზე.


ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მასთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას, აქტიურად იყო ჩართული პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე და ზოგჯერ იღებდა გადაწყვეტილებას (42%), გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი ამბობს, რომ ხელმძღვანელები მისგან იღებდნენ რჩევებს, აცნობდნენ მიმდინარე საკითხებსა და ავლებდნენ გასაკეთებელ საქმეებს (23%); სხვა დებულებები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 30_1 - ცხრილი 30_4).

დიაგრამა 2

რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (60%), ამის მიზეზად ყველაზე ხშირად თავისუფალი დროის არქონას (33%) ასახელებენ. 28% კი ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, 13%-ის განცხადებით კი გვიან გაიგო აღნიშნული აქტივობის შესახებ. სხვა მიზეზები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 ცხრილი 31_7).

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები


გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის გარდა, კვლევის ნაწილი ეთმობოდა ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებში ჩართვასა და ახალგაზრდების მიერ მუნიციპალიტეტის შეთავაზებულ ინიციატივებს. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო 3%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა (იხ. დიაგრამა 3). მათ, ვისაც არ მიუღია შეთავაზებულ პროგრამებში მონაწილეობა (46%), ყველაზე ხშირად არმონაწილეობის მიზეზად პროგრამებისადმი ინტერესისა (36%)

და საკმარისი დროის არქონა (31%) დასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 41_1 - ცხრილი 41_6).

რაც შეეხება ახალგაზრდების ინიციატივას, კითხვაზე გქონიათ თუ არა ახალგაზრდული ინიციატივა/პროექტი, რომლის განხორციელებისთვის მიგიმართავთ მუნიციპალიტეტისთვის, გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ მსგავსი ინიციატივით არ მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის. რესპონდენტების თითქმის მეოთხედი (24%) კი ამბობს, რომ მიუმართავთ ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის (იხ. დიაგრამა 3). მათგან ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად მიმართეს (61%), ასევე ხშირად - ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (47%), ტექნიკური მხარდაჭერისთვის (29%) და ტრასპორტით უზრუნველყოფისთვის (27%) მიუმართავთ. სხვა სახის ინიციატივით მიმართვა კი უფრო იშვიათად სახელდება. მათ ვინც მიმართეს მუნიციპალიტეტს ინიციატივით, მათი უმრავლესობა (66%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი მათ სრულიად დაეხმარა, 16%-ის თქმით ნაწილობრივ დაეხმარა, 2%-ის თქმით დახმარება უმნიშვნელო იყო, ხოლო 4% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტი საერთოდ არ დაეხმარა. 12%-მა კი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა (იხ. დანართი, ცხრილი 44). რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელსაც არ მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე ინიციატივით (73%), მათი ძირითადი ნაწილი არმიმართვის მიზეზად ასახლებს იმას, რომ ასეთი ინიციატივა არ გასჩენიათ (43%) (იხ. დანართი, ცხრილი 45_1 – 45_7).

დიაგრამა 3

მიიღეთ თუ არა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში? გქონიათ თუ არა რაიმე სახის ახალგაზრდული ინიციატივა/პროექტი, რომლის განხორციელებისათვის მიგიმართავთ მუნიციპალიტეტისთვის? (%)



ზემოთგანხილული საკითხების გარდა, კვლევისთვის საინტერსო იყო ახალგაზრდების ჩართულობა გარემოსდაცვით საქმიანობაში. გამოკითხულთა უმრავლესობა (67%) ამბობს, რომ გარემოსდაცვით საქმიანობაში მონაწილეობა მიუღიათ, ყველაზე ხშირად კი - დასუფთავების აქციაში (93%) (იხ. დანართი, ცხრილი 54_1 - ცხრილი 54_4). გარემოსდაცვასთან დაკავშირებით ახალგაზრდებს ეკითხებოდნენ, თუ რა აქტივობების განხორციელებას ისურვებდნენ გარემოს დაცვის გასაუმჯობესებლად. ყველაზე ხშირად

გამოკითხული ახალგაზრდები ნარჩენების დახარისხების შესაძლებლობას (41%), ნაგავსაყრელის მოწყობას (34%), ხეების გაჩეხვის შეზღუდვას (32%) და ჰაერის ნაკლებ დაბინძურებას (30%) ისურვებდნენ (იხ. დანართი, ცხრილი 55_1 - ცხრილი 55_8).

მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში⁴ საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 32). გამოკითხულთა 17% ამბობს, რომ თვეში ერთხელ მაინც მოხალისეობს, 29% - სამ თვეში ერთხელ, 12% - ნახევარ წელში ერთხელ, 18% კი - წელიწადში ერთხელ. (იხ. დანართი, ცხრილი 33). მათგან ვინც ამბობს, რომ ჩართულია ხოლმე მოხალისეობრივ აქტივობებში (48%) ყველაზე ხშირად მოხალისეობრივი საქმიანობის მთავარ მოტივად სხვების დახმარების სურვილს ასახელებენ (72%), მოტივად ასევე ხშირად დასახელდა თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის (37%), სიახლეების სწავლა (35%), მეგობრებთან ერთად ყოფნა და საქმის ერთად კეთების სურვილი (31%), ასევე - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების სურვილი (18%). სხვა სახის მოტივები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 34_1 - ცხრილი 34_11). რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს (53%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 35_1 - ცხრილი 35_15).

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (58%), სარგებლობენ სოციალური ქსელებით (57%) და უყურებენ ტელევიზორს (36%), უსმენენ მუსიკას (36%) და კითხულობენ წიგნს (32%). სხვა ტიპის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

⁴ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

როგორ ერთობით და ისვენებთ თავისუფალ დროს? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის საკითხებს, გამოკითხული ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა მონაწილე ან ორგანიზატორი შემოქმედებით-სამოყვარულო ხელოვნების ღონისძიებებში (იხ. დანართი, ცხრილი 47a). მათგან ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ღონისძიებებში შემდეგ აქტივობებს აკეთებდნენ: ცეკვა (49%), სიმღერა (33%), ფილმის გადაღებაში მონაწილეობა (19%), თეატრალურ სპექტაკლში როლის შესრულება (10%). სხვა სახის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 47_1 – 47_9).

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (77%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში დასწრებია რაიმე კულტურულ ღონისძიებას. მათგან ყველაზე ხშირად დაესწრნენ ცეკვისა (67%) და სიმღერის კონცერტს (54%), ეწვივნენ მუზეუმს ან გალერეას (51%) და იყვნენ თეატრში (20%). სხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_7).

კითხვაზე გასული 12 თვის განმავლობაში ეწვიეთ თუ არა ბიბლიოთეკას, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (23%) ამბობს, რომ რეგულარულად სარგებლობს ბიბლიოთეკით, 39%-ს განცხადებით კი გასული 12 თვის განმავლობაში რამდენჯერმე უსარგებლია ბიბლიოთეკით, ერთხელ ისარგებლა 9%-მა, ხოლო საერთოდ არ ყოფილა 20%. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვან რესპონდენტთა მეტი წილი დადის ბიბლიოთეკაში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები (იხ. დანართი, ცხრილი 50). რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ არ ეწვივენ ბიბლიოთეკას ბოლო 12 თვის განმავლობაში, ყველაზე ხშირად

მიზეზად ბიბლიოთეკაში წიგნების მწირ არჩევანს (29%), არაკომფორტულ პირობებსა და მომსახურებას (24%), ბიბლიოთეკის საცხოვრისისგან შორს ყოფნას/დასახლებაში ბიბლიოთეკის არარსებობას (19%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 51_1 - ცხრილი 51_6).


კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, (52%) ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის (44%), ველობილიკებისა (42%) და შემოქმედებითი წრეების (31%) არსებობა სურთ. ასევე, ხშირად დასახელდა ბიბლიოთეკისა (26%) და ბანაკების (21%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ველობილიკებისა და შემოქმედებითი წრეების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტებისთვის. ასევე, ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად სრულწლოვანი რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. 40% კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 12%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 36). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას


ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (75%) და ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად (55%) გამოუყენებია, ხოლო მესამედზე მეტს (31%) - ახალგაზრდული პროექტებისა და ღონისძიებების დასამუშაველად/დასაგეგმად; რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლიათ სივრცით (10%), ყველაზე ხშირად მიზეზად აღნიშნავენ, რომ სივრცის გამოყენების მიმართ ინტერესი არ ჰქონდათ (62%) (იხ. დანართი, ცხრილი 39_1 - ცხრილი 39_8).

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 11% დასაქმებულია, 11% ეძებს სამუშაოს, ხოლო 74% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, 44% ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 29% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

თუ დაუსაქმებელი ხართ, ეძებთ თუ არა სამსახურს?(%)



გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მესამედი (37%) ფიქრობს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას, ხოლო ნახევარზე მცირედით მეტი (52%) ფიქრობს, რომ აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის პრობლემური. 11%-მა კი პასუხის გაცემისგან ან თავი შეიკავა, ან თქვა რომ პასუხი არ იცის (იხ. დანართი, ცხრილი 56).

კითხვაზე, თუ რა მახასიათებლებით უნდა გამოირჩეოდეს ახალგაზრდა ადამიანისათვის იდეალური სამუშაო, რესპონდენტები ყველაზე ხშირად შემდეგ მახასიათებლებს ასახელებენ: პროფესიის შესაბამისი სამუშაო (54%), კარიერული წინსვლის შესაძლებლობა (52%), პროფესიული ზრდის შესაძლებლობა (46%), მაღალი ხელფასი (37%), პიროვნული

განვითარების შესაძლებლობა (25%), სხვების დახმარების შესაძლებლობა (19%). სხვა მახასიათებლები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 – ცხრილი 57_10). ხოლო იმისთვის რომ ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყოს, რესპონდენტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, განათლების დონე (74%), მონდომება (70%) და პროფესიონალიზმი (64%). სხვა პასუხები კი იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 – 58_8).

სპორტული აქტივობები


მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი, საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. მათგან, ვინც აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით არის დაკავებული, 16% უარს ამბობს დააკონკრეტოს რომელი ფიზიკური აქტივობითაა დაკავებული, 35%-ის განცხადებით, სირბილითაა დაკავებული, 17% ამბობს, რომ თამაშობს ფეხბურთს, 15%-ის განცხადებით, თამაშობს ფრენბურთს, ხოლო 13%-13% ამბობს, რომ ტრენაჟორებით ვარჯიშობს და ლაშქრობას უთმობს დროს. (იხ. დანართი, ცხრილი 66_1 – 66_19). რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის ისეთ სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული (იხ. დანართი, ცხრილი 67). ჩაურთველობის მიზეზად შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობას (45%), არასაკმარის დროს (33%), ინფრასტრუქტურის არარსებობას (28%) და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობას (28%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ ხართ ჩართული აღნიშნულ სპორტში? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17წელი ■ 18-25წელი ■ 26-29წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 81% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 53%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 27% აცხადებს, რომ იშვიათად მოიხმარს ალკოჰოლს. აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 58% აცხადებს, რომ არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო მამრობითი სქესის 48% აცხადებს იმავეს. გამოკითხულთა 26% ამბობს, რომ აზარტულ თამაშებს იშვიათად თამაშობს (სამ თვეში ერთხელ). ახალგაზრდების 27% კი ამბობს, რომ უთამაშია აზარტული თამაშები ინტერნეტით (იხ. დანართი, ცხრილი 70, 71, 72 და 73).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს. მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), მათი უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით, ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა (იხ. დანართი, ცხრილი 75_1 - ცხრილი 75_12).

ტექნოლოგიებთან წვდომა

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (89%) აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით (87%). ხოლო 32%-ის განცხადებით, ინტერნეტთა წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან (იხ. დანართი, ცხრილი 76, 77_1 - ცხრილი 77_5).

ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად (54%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (53%), ახლობლებთან საკონტაქტოდ (49%), სასწავლო მასალების მოძიებისთვის (45%) და ახალი ამბების გასაცნობად (27%) იყენებენ (იხ. დანართი, ცხრილი 78_1 - ცხრილი 78_12). ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს, ხოლო 18% საპირისპიროს აცხადებს (იხ. დანართი, ცხრილი 79).

დისკრიმინაცია/ჩაგვრა

გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი (84%) ამბობს, რომ არ განუცდიათ ჩაგვრა, 9% კი ამბობს, რომ მსგავსი გამოცდილება აქვს. მათგან, ვინც აცხადებს, რომ ჩაგვრა განუცდია, 53% ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას რამდენჯერმე ჰქონია ადგილი, 16%-ის განცხადებით, ასეთი რამ ერთხელ მოხდა, ხოლო 32% უარს აცხადებს პასუხის გაცემისგან. ახალგაზრდების განცხადებით, ჩაგვრა უფროსი ადამიანის (47%) და მასწავლებლის (26%) მხრიდან განუცდიათ. მათგან, ვისაც განუცდია ჩაგვრა, 63% ამბობს, რომ წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 16%-ის განცხადებით, არაფერი გაუკეთებია (იხ. დანართი, ცხრილი 80a, 80_1 - 80_5, 81_1 - 81_5).

ახალგაზრდების ასევე უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს. მათგან, ვინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს, 79%-ის განცხადებით, წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 8%-ს არაფერი გაუკეთებია. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის მიზეზი მათი გარეგნობა (44%), აქცენტი და საუბრის მანერა (18%), პოლიტიკური შეხედულებები (12%) და შეზღუდული შესაძლებლობები (11%) იყო (იხ. დანართი, ცხრილი 82, 83_1 - 83_5, 84_1 - 84_12).

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 44%-ის ფიქრობს, რომ ზოგადად, ახალგაზრდების მდგომარეობა მესტიის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია, 24%-ის თქმით არადამაკმაყოფილებელია, ხოლო 27% ახალგაზრდების მდგომარეობას შუალედურად აფასებს. გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია. გამოკითხული ახალგაზრდებს ყველაზე პრობლემურად მიაჩნიათ დასაქმების (43%), ახალგაზრდული სივრცეების არარსებობის (31%), სამედიცინო მომსახურების (30%), სკოლის ინფრასტრუქტურის (18%), დაბინძურებულ გარემოსა (17%) და მუნიციპალიტეტში/სოფელში სკვერის არ არსებობის (16%) საკითხები.

ზოგადად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით, თუმცა გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. გამოკითხულთა მცირე ნაწილი - 15% ამბობს, რომ კარგად იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, 45% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) თქმით, ცოტა იცის, ხოლო 12%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში.

კვლევა ასევე ეთმობოდა სამოქალაქო აქტივიზმის საკითხებსაც. ყველაზე ხშირად გამოკითხულმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ განახორციელეს შემდეგი აქტივობები: დაესწრნენ საჯარო შეხვედრას (23%), მიიღეს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში (23%), მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობებში (17%). რაც შეეხება ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხულთა უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ადგილობრივ დონეზე ჩართული არ ყოფილა. მონაწილეობის არმიღების მიზეზად ყველაზე ხშირად თავისუფალი დროის არქონას (33%) და არასაინტერესო ღონისძიებებს (28%) ასახელებენ; ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) ამბობს, გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული იყო. ზოგადად კი გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად სოციალური ქსელების საშუალებით (57%), ახლობლების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან (53%) და ინტერნეტის საშუალებით (41%) იღებენ.

გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის გარდა, კვლევის ნაწილი ეთმობოდა ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებში ჩართვასა და ახალგაზრდების მიერ მუნიციპალიტეტისთვის შეთავაზებულ ინიციატივებს. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა, ყველაზე ხშირად არმონაწილეობის მიზეზად პროგრამებისადმი ინტერესისა და საკმარისი დროის არქონა დასახელეს. გამოკითხული ახალგაზრდების 17% აცხადებს, რომ კარგად იცის, თუ რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, 44% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) განმარტებით ცოტა რამ იცის, ხოლო 9%-ის განცხადებით საერთოდ არ იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება.

რაც შეეხება ახალგაზრდების ინიციატივას, გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ ინიციატივით არ მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (24%) ამბობს, რომ ინიციატივით მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის, მათგან ყველაზე ხშირად კი პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად და ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით - არ მიუღია. მათგან ვინც ამბობს, რომ ჩართულია მოხალისეობრივ აქტივობებში (48%) ყველაზე ხშირად მოხალისეობრივი საქმიანობის მთავარ მოტივად სხვების დახმარების სურვილს ასახელებენ. რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს ასახელებენ.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, სარგებლობენ სოციალური ქსელებით და უყურებენ ტელევიზორს, უსმენენ მუსიკას და კითხულობენ წიგნს.

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის, ველობილიკებისა და შემოქმედებითი

წრების არსებობა სურთ. ასევე, დასახელდა ბიბლიოთეკისა და ბანაკების არსებობის/ფუნქციონირების სურვილი.

გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. 40% კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 12%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (75%) და ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად და ახალგაზრდული პროექტებისა და ღონისძიებების დასამუშაველად/დასაგეგმად გამოუყენებია;

კვლევის ინტერესის საგანს მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 11% დასაქმებულია, 11% ეძებს სამუშაოს, ხოლო 74% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, 44% ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 29% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული. მიზეზები, რის გამოც ამჟამად არ არიან ჩართული მათთვის სასურველ სპორტულ აქტივობაში შემდეგია: შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობა, არასაკმარის დრო, ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობა.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (81%) აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, ნახევარზე მეტი (53%) - არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (58%) აცხადებს, რომ არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო მამრობითი სქესის 48% აცხადებს იმავეს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს. მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის

განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), 69% აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. გამოკითხული ახალგაზრდების 89% აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან. ახალგაზრდების 87% აცხადებს, რომ ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით აქვს, 32%-ის განცხადებით, ინტერნეტთან წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან.

ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად, სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით, ახლობლებთან საკონტაქტოდ და სასწავლო მასალების მოძიებისთვის იყენებენ. ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს.

კვლევის ნაწილი ახალგაზრდების ჩაგვრის საკითხებსაც დაეთმო. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (84%) აცხადებს, რომ თავად არ განუცდიათ ჩაგვრა, ხოლო 62% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს. მათგან ვისაც ჩაგვრა განუცდია (9%), ნახევარზე მეტი (53%) ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას რამდენჯერმე ჰქონია ადგილი. ახალგაზრდების განცხადებით, ჩაგვრა ყველაზე ხშირად უფროსი ადამიანისა და მასწავლებლის მხრიდან განუცდიათ.

1. ასაკობრივი განაწილება				
	14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სიხშირე	73	111	27	211
%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
სიხშირე	73	111	27	211
%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

2. რესპონდენტის სქესი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	3.7%	.5%
მდედრობითი	სიხშირე	37	46	22	105
	%	50.7%	41.4%	81.5%	49.8%
მამრობითი	სიხშირე	36	65	4	105
	%	49.3%	58.6%	14.8%	49.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. ოჯახური მდგომარეობა					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	5	11	2	18
	%	6.8%	9.9%	7.4%	8.5%
დაოჯახებული	სიხშირე	68	91	17	176
	%	93.2%	82.0%	63.0%	83.4%
დასაოჯახებელი	სიხშირე	0	9	8	17
	%	0.0%	8.1%	29.6%	8.1%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4. დასახლების ტიპი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	.9%	0.0%	.5%
სიფელი	სიხშირე	33	45	20	98
	%	45.2%	40.5%	74.1%	46.4%
დაბა	სიხშირე	40	65	7	112
	%	54.8%	58.6%	25.9%	53.1%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5. ზოგადად, როგორ შეაფასებდით ახალგაზრდების მდგომარეობას თქვენს მუნიციპალიტეტში/სოფელში?					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	4	2	4	10
	%	5.5%	1.8%	14.8%	4.7%
ძალზე არაღმარებელი	სიხშირე	7	14	2	23
	%	9.6%	12.6%	7.4%	10.9%
2	სიხშირე	6	15	7	28
	%	8.2%	13.5%	25.9%	13.3%
3	სიხშირე	16	32	9	57
	%	21.9%	28.8%	33.3%	27.0%
4	სიხშირე	22	22	5	49
	%	30.1%	19.8%	18.5%	23.2%
სრულიად დამაკმაყოფილებელი	სიხშირე	18	26	0	44
	%	24.7%	23.4%	0.0%	20.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

6. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს შესაძლებლობა, ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	1	2
	%	0.0%	.9%	3.7%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	45	50	8	103
	%	61.6%	45.0%	29.6%	48.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	9	30	6	45
	%	12.3%	27.0%	22.2%	21.3%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	13	23	9	45
	%	17.8%	20.7%	33.3%	21.3%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	5	5	2	12
	%	6.8%	4.5%	7.4%	5.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	2	1	4
	%	1.4%	1.8%	3.7%	1.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

7. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს რეგიონში სასურველი სამუშაოს შოვნა შესაძლებელია					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	1	2
	%	0.0%	.9%	3.7%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	0	4	2	6
	%	0.0%	3.6%	7.4%	2.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	11	21	6	38
	%	15.1%	18.9%	22.2%	18.0%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	38	53	8	99

	%	52.1%	47.7%	29.6%	46.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	23	31	9	63
	%	31.5%	27.9%	33.3%	29.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

8. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს შესაძლებლობა თავისუფალი დრო გავატარო საკუთარი სურვილის შესაბამისად

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	0	2
	%	0.0%	1.8%	0.0%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	45	56	11	112
	%	61.6%	50.5%	40.7%	53.1%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	14	27	7	48
	%	19.2%	24.3%	25.9%	22.7%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	10	18	6	34
	%	13.7%	16.2%	22.2%	16.1%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	2	5	3	10
	%	2.7%	4.5%	11.1%	4.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	2	3	0	5
	%	2.7%	2.7%	0.0%	2.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს საკუთარი შემოსავალი და ოჯახის დახმარების გარეშე შემიძლია ვირჩინო თავი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	1	3
	%	0.0%	1.8%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	0	11	7	18
	%	0.0%	9.9%	25.9%	8.5%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	4	17	4	25
	%	5.5%	15.3%	14.8%	11.8%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	11	42	8	61
	%	15.1%	37.8%	29.6%	28.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	57	38	6	101
	%	78.1%	34.2%	22.2%	47.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

10. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს სოფელში/მუნიციპალიტეტში არის სპორტული ცენტრი, სადაც შემიძლია ვივარჯიშო					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	.9%	0.0%	.5%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	2	5	2	9
	%	2.7%	4.5%	7.4%	4.3%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	8	13	2	23
	%	11.0%	11.7%	7.4%	10.9%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	19	44	10	73
	%	26.0%	39.6%	37.0%	34.6%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	39	42	10	91
	%	53.4%	37.8%	37.0%	43.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	6	3	14
	%	6.8%	5.4%	11.1%	6.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

11. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს საშუალება მივიღო ჩემთვის საჭირო განათლება					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	13	15	9	37
	%	17.8%	13.5%	33.3%	17.5%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	28	41	7	76
	%	38.4%	36.9%	25.9%	36.0%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	19	37	7	63
	%	26.0%	33.3%	25.9%	29.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	11	15	3	29
	%	15.1%	13.5%	11.1%	13.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	2	0	3
	%	1.4%	1.8%	0.0%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მინდა საქართველოდან წავიდე					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	2	4
	%	0.0%	1.8%	7.4%	1.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	1	6	1	8
	%	1.4%	5.4%	3.7%	3.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	8	10	5	23
	%	11.0%	9.0%	18.5%	10.9%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	15	26	3	44

	%	20.5%	23.4%	11.1%	20.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	43	59	12	114
	%	58.9%	53.2%	44.4%	54.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	6	8	4	18
	%	8.2%	7.2%	14.8%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მინდა სოფლიდან/მუნიციპალიტეტიდან წასვლა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	3	1	4
	%	0.0%	2.7%	3.7%	1.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	1	11	2	14
	%	1.4%	9.9%	7.4%	6.6%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	18	16	3	37
	%	24.7%	14.4%	11.1%	17.5%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	14	27	5	46
	%	19.2%	24.3%	18.5%	21.8%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	33	46	13	92
	%	45.2%	41.4%	48.1%	43.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	7	8	3	18
	%	9.6%	7.2%	11.1%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

14. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს მუნიციპალიტეტში/სოფელში თავს ვგრძნობ უსაფრთხოდ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	1	3
	%	0.0%	1.8%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	47	65	13	125
	%	64.4%	58.6%	48.1%	59.2%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	21	26	7	54
	%	28.8%	23.4%	25.9%	25.6%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	1	15	3	19
	%	1.4%	13.5%	11.1%	9.0%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	4	2	1	7
	%	5.5%	1.8%	3.7%	3.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	0	1	2	3
	%	0.0%	.9%	7.4%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასრულფასოვანი კვება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	110	27	208
	%	97.3%	99.1%	100.0%	98.6%
დასახელდა	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.4%	.9%	0.0%	.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_2. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასაკმარისი ფინანსები

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	67	92	23	182
	%	91.8%	82.9%	85.2%	86.3%
დასახელდა	სიხშირე	5	19	4	28
	%	6.8%	17.1%	14.8%	13.3%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_3. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? მედიკამენტების შექენა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	57	102	26	185
	%	78.1%	91.9%	96.3%	87.7%
დასახელდა	სიხშირე	15	9	1	25
	%	20.5%	8.1%	3.7%	11.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_4. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? დასაქმება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	46	61	13	120
	%	63.0%	55.0%	48.1%	56.9%
დასახელდა	სიხშირე	26	50	14	90
	%	35.6%	45.0%	51.9%	42.7%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_5. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სამედიცინო მომსახურება					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	49	76	22	147
	%	67.1%	68.5%	81.5%	69.7%
დასახელდა	სიხშირე	23	35	5	63
	%	31.5%	31.5%	18.5%	29.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_6. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასაკმარისი სასკოლო ინვენტარი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	61	102	25	188
	%	83.6%	91.9%	92.6%	89.1%
დასახელდა	სიხშირე	11	9	2	22
	%	15.1%	8.1%	7.4%	10.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_7. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სკოლის ინფრასტრუქტურა					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	53	99	21	173
	%	72.6%	89.2%	77.8%	82.0%
დასახელდა	სიხშირე	19	12	6	37
	%	26.0%	10.8%	22.2%	17.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_8. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	72	108	25	205
	%	98.6%	97.3%	92.6%	97.2%
დასახელდა	სიხშირე	0	3	2	5
	%	0.0%	2.7%	7.4%	2.4%

სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_9. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შექმნა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	72	106	26	204
	%	98.6%	95.5%	96.3%	96.7%
დასახელდა	სიხშირე	0	5	1	6
	%	0.0%	4.5%	3.7%	2.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_10. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ტანსაცმლის შექმნა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	108	24	203
	%	97.3%	97.3%	88.9%	96.2%
დასახელდა	სიხშირე	1	3	3	7
	%	1.4%	2.7%	11.1%	3.3%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_11. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	68	102	24	194
	%	93.2%	91.9%	88.9%	91.9%
დასახელდა	სიხშირე	4	9	3	16
	%	5.5%	8.1%	11.1%	7.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_12. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%

არ დასახელდა	სიხშირე	54	100	24	178
	%	74.0%	90.1%	88.9%	84.4%
დასახელდა	სიხშირე	18	11	3	32
	%	24.7%	9.9%	11.1%	15.2%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_13. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სკვერის არ არსებობა მუნიციპალიტეტში/სოფელში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	61	97	19	177
	%	83.6%	87.4%	70.4%	83.9%
დასახელდა	სიხშირე	11	14	8	33
	%	15.1%	12.6%	29.6%	15.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_14. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? დასვენება, გართობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	107	26	204
	%	97.3%	96.4%	96.3%	96.7%
დასახელდა	სიხშირე	1	4	1	6
	%	1.4%	3.6%	3.7%	2.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_15. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სპორტული მოედნების (საფეხბურთო, საკალათბურთო და სხვა) არარსებობა სოფელში/მუნიციპალიტეტში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	67	102	23	192
	%	91.8%	91.9%	85.2%	91.0%
დასახელდა	სიხშირე	5	9	4	18
	%	6.8%	8.1%	14.8%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_16. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ვალის/საბანკო კრედიტის გადახდა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
- გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა.
- გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ ახალგაზრდული პროექტის ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის არ მიუმართავს.
- გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (24%) კი ამბობს, რომ მიუმართავთ ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის. მათგან ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად მიმართეს (61%), ასევე ხშირად მიუმართავთ ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (47%), ტექნიკური მხარდაჭერისთვის (29%) და ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (27%).
- რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელსაც არ მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე ინიციატივით (73%), მათი ძირითადი ნაწილი არმიმართვის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ასეთი ინიციატივა არ გასჩენიათ (43%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა.
- გამოკითხულთა 17% ამბობს, რომ თვეში ერთხელ მაინც მოხალისეობს, 29% - სამ თვეში ერთხელ, 12% - ნახევარ წელში ერთხელ, 18% კი - წელიწადში ერთხელ.
- ახალგაზრდების ნაწილი, ვინც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს (53%) ასახელებენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (58%), სარგებლობენ სოციალური ქსელებით (57%), უყურებენ ტელევიზორს (36%), უსმენენ მუსიკას (36%) და კითხულობენ წიგნს (32%).
- გამოკითხული ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა მონაწილე ან ორგანიზატორი შემოქმედებით-სამოყვარულო ხელოვნების ღონისძიებებში. მათგან ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ღონისძიებებში შემდეგ აქტივობებს აკეთებდნენ: ცეკვა (49%), სიმღერა (33%), ფილმის გადაღებაში მონაწილეობა (19%) და თეატრალურ სპექტაკლში როლის შესრულება (10%).
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (77%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში დასწრებია რაიმე კულტურულ ღონისძიებას. მათგან ყველაზე ხშირად დაესწრნენ ცეკვის კონცერტს (67%), სიმღერის კონცერტს (54%), ეწვივნენ მუზეუმს ან გალერეას (51%) და იყვნენ თეატრში (20%).
- კითხვაზე გასული 12 თვის განმავლობაში ეწვიეთ თუ არა ბიბლიოთეკას, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (23%) ამბობს, რომ რეგულარულად სარგებლობს ბიბლიოთეკით, 39%-ს განცხადებით კი გასული 12 თვის განმავლობაში რამდენჯერმე უსარგებლია ბიბლიოთეკით, ერთხელ ისარგებლა 9%-მა, ხოლო საერთოდ არ ყოფილა 20%.
- გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, (52%) ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის (44%), ველობილიკებისა (42%) და შემოქმედებითი წრეების (31%) არსებობა სურთ მუნიციპალუტეტში. ასევე, ხშირად დასახელდა ბიბლიოთეკისა (26%) და ბანაკების (21%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი.
- გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, პრობლემურია ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. მათი განცხადებით, ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილების არარსებობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შემოდგომასა და ზამთარში, როდესაც ტურისტული სეზონი მთავრდება.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- მესტიის მუნიციპალიტეტის სრულწლოვანი გამოკითხული ახალგაზრდების 44% ამბობს, რომ დასაქმებულია.
- 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (38%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 59% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.
- 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზე. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს.

სპორტული აქტივობები

- მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი, საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.
- მათგან, ვინც აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით არის დაკავებული, 16% უარს აცხადებს დააკონკრეტოს რომელი ფიზიკური აქტივობითაა დაკავებული, 35%-ის განცხადებით, დარბის, 17% ამბობს, რომ თამაშობს ფეხბურთს, 15%-ის განცხადებით, თამაშობს ფრენბურთს, ხოლო 13% ამბობს, რომ ტრენაჟორებით ვარჯიშობს, ასევე 13% ლაშქრობას უთმობს დროს.
- რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული.
- სასურველ სპორტულ აქტივობაში ჩაურთველობის მიზეზად ახალგაზრდები შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობას (45%), არასაკმარის დროს (33%), ინფრასტრუქტურის არარსებობას (28%) და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობას (28%) ასახელებენ.
- ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა.

მაგნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 81% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 53%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.

- გამოკითხულთა 26% ამბობს, რომ აზარტულ თამაშებს იშვიათად თამაშობს (სამ თვეში ერთხელ). ახალგაზრდების 27% კი ამბობს, რომ უთამაშია აზარტული თამაშები ინტერნეტით.
- რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხულთა 76% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), 69% აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა.

ტექნოლოგიებთან წვდომა

- გამოკითხული ახალგაზრდების 89% აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან.
- ახალგაზრდების 87% აცხადებს, რომ ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით აქვს, 32%-ის განცხადებით, ინტერნეტთან წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან.
- ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად (54%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (53%), ახლობლებთან საკონტაქტოდ (49%), სასწავლო მასალების მოძიებისთვის (45%) და ახალი ამბების გასაცნობად (27%) იყენებენ.
- ახალგაზრდების 69% აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს.

დისკრიმინაცია/ჩაგვრა

- გამოკითხული ახალგაზრდების 84% აცხადებს, რომ არ განუცდიათ ჩაგვრა.
- მათგან, ვინც აცხადებს, რომ ჩაგვრა განუცდია (9%), ჩაგვრა უფროსი ადამიანის (47%) და მასწავლებლის (26%) მხრიდან განუცდიათ.
- ახალგაზრდების 62% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის ფაქტს.
- მათგან, ვინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს, 79%-ის განცხადებით, წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 8%-ს არაფერი გაუკეთებია.

- ახალგაზრდები აცხადებენ, რომ სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის მიზეზი იყო გარეგნობა (44%), აქცენტი და საუბრის მანერა (18%), პოლიტიკური შეხედულებები (12%) და შეზღუდული შესაძლებლობები (11%).

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების

შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის 211 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა, კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. მესტიის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 211 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკები გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში¹ (14-17, 18-25 და 26-29 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

¹ 26-29 წლის ასაკობრივ კატეგორიებთან ფოკუს ჯგუფი ვერ შედგა, ვინაიდან, სავსე სამუშაოების დროში შეზღუდულობიდან გამომდინარე, დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის ისეთი ახალგაზრდების მოძიება, რომლებიც ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას მიიღებდნენ.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საერთო რაოდენობაა 1972. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 235 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 211-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კგუფი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;

- 18-25 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 26-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მესტიის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა ივნისი-აგვისტოს პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლები მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში ერთ წელზე მეტ ხანს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 3 წელია, რაც კონკრეტულ პოზიციაზე² მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს და მესტიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- საჯარო ბიბლიოთეკების არარსებობა, საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობა, წიგნის მაღაზიების ნაკლებობა;
- ხარისხიანი განათლებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- თავისუფალი სივრცეებისა და გართობის საშუალებების ნაკლებობა (კაფე-ბარი, სკვერები, სკეიტ პარკი, ველო ტრასა);
- სხვადასხვა სპორტული და კულტურული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა;
- გზის პრობლემა;
- სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზის და სპორტ დარბაზების არარსებობა;
- დასაქმების პრობლემა;
- ტრანსპორტის პრობლემა;
- ხარისხიანი ინტერნეტის პრობლემა
- ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები.

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. მათი განცხადებით, ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილების არარსებობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შემოდგომასა და ზამთარში, როდესაც ტურისტული სეზონი მთავრდება. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ყოფნას, ფილმების ყურებას, წიგნის კითხვას და მუსიკის მოსმენას უთმობს. აღსანიშნავია, როგორც არასრულწლოვანი ახალგაზრდების, ასევე სრულწლოვანი რესპონდენტების თქმით, სრულად არიან დაკავებული საოჯახო საქმეებით.

² რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები. მათი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს ერთი სკვერი, რაც საკმარისი არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, კარგი იქნება თუ მოეწყობა სკეიტ პარკი და ველო ბილიკები.

ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობაზე. მათი ნაწილი ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მუდმივად დაკეტილია, ასევე არ არსებობს წიგნის მაღაზია. არასრულწლოვანი რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიღება, რადგან არ არსებობს შესაბამისი სივრცეები. 18-25 წლის ერთ-ერთი ახალგაზრდა ამბობს, რომ არ არსებობს მოსამზადებელი ცენტრი, სადაც აბიტურიენტი შეძლებს მოემზადოს. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზეც. მისი განცხადებით, მესტიაში განვითარებული იყო ხელსაქმე, მეცხოველეობა და სხვა საქმიანობები, ეხლა კი ყველა ტურიზმის სფეროშია ჩართული, რაც პრობლემას წარმოადგენს. მისი განცხადებით, აღნიშნული პრობლემა უფრო ნათელი გახდა პანდემიის დროს, როცა იყო ტურისტების ნაკლები რაოდენობა.

რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს არ ეძლევათ თავიანთი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. თუმცა ერთ-ერთი არასრულწლოვანი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ როდესაც წრეები იხსნება, ახალგაზრდების მხრიდან დიდი დაინტერესება არ არის, შესაბამისად, მალევე იხურება. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან ტურიზმის სფეროში და საკუთარი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მესტიაში ნაკლებად ტარდება კულტურული ღონისძიებები. მისი თქმით, იყო შემთხვევა, როცა მესტიაში საჯარო ლექცია გაიმართა, რომელსაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაესწრო, რაც მსგავსი ღონისძიებების საჭიროებაზე მიუთითებს.

რესპონდენტების განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა. მათი განცხადებით, მესტიაში არის ორი სტადიონი და ერთი პარკი, რაც საკმარისი არ არის.

კვლევის მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზეც. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. რამდენიმე რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ნაკლებობაზე მუნიციპალიტეტში. ერთ-ერთი ახალგაზრდა აცხადებს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადართულია ტურიზმის სექტორზე და სხვა სფეროებს ნაკლებად ეთმობა ყურადღება. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს პროფესიონალი ფოტოგრაფი ან ვიდეო

გადამღები და ქორწილისა თუ სხვა ღონისძიების ჩატარებისას თბილისიდან ჩამოჰყავთ. ასევე, მუნიციპალიტეტში არ არსებობს სტამბა და რესტორნის მენიუს ან სხვა ნებისმიერი რამის ბეჭდვის სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივები ზუგდიდში მიდიან. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ ქიმიის მასწავლებელს, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი კადრი ვერ იპოვეს და ბოლოს თბილისიდან ჩამოიყვანეს.

რესპონდენტების ნაწილის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, გზების გაუმართაობა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით კი, პრობლემაა ხარისხიან ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ასევე არსებობს ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის პრობლემაც. ასევე, რამდენიმე რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მათი განცხადებით, რამდენიმე სოფელში ნაგვის ურნებიც არ არის.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ნაკლებად განსხვავდება ახალგაზრდის სქესისა და ასაკის მიხედვით. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, აღნიშნული პრობლემები უფრო მწვავედ დგას სოფლებში, ვიდრე თავად მესტიაში.

„ინფრასტრუქტურის პრობლემაა, არ არის სივრცე, სადაც შეძლებენ ახალგაზრდები შეკრებას. (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და ა.შ) რაც შეეხება გარემოს დაცვას, ზოგ სოფელში ნაგვის ურნებიც კი არ არის.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ხაიში, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„დასაქმების პრობლემა არამხოლოდ ახალგაზრდებში, არამედ ყველა ასაკშია. ჩვენ ასაკში არიან ან მენეჯერები, ან მიმტანები. უფროსი თაობა - სასაზღვრო პოლიციაში ან საგანგებო სიტუაციების მხრივ. ადამიანების იმ ნაწილს, რომელსაც ფიზიკურად არ შეუძლია აქ დასაქმება, რჩებიან უმუშევრები. სხვა გასაქანი არ არის.“ (ქალი, 20 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

პროფესიული დასაქმების პრობლემაა, არ არის კადრები. ქიმიის მასწავლებლის ვაკანსია დევს სკოლაში დიდი ხანია და ფიზიკურად არ არსებობს კვალიფიციური კადრი. თბილისიდან ჩამოიყვანა განათლების სამინისტრომ მასწავლებელი.“ (კაცი, 22 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„არ არის ბევრი რამ ხელმისაწვდომი, მაგალითად განათლება. კი, ონლაინ შეიძლება ბევრი რამის სწავლა, თუმცა ყველას არ აქვს მაგის სტიმული. ამიტომაც კარგი იქნება ადგილზე რომ იყოს. არც ჰობის გაჩენის საშუალება არ არის ან ცოდნის გაღრმავების. ერთადერთი არის ტურიზმით დაკავების და ბუნებასთან ურთიერთობის შესაძლებლობა.“ (ქალი, 26 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, საჭიროა მეტი აქტიურობა ახალგაზრდების მხრიდან. ასევე, რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, კერძო სექტორიც უნდა იყოს ჩართული პრობლემების მოგვარებაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს სთხოვეს. მისი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს. რესპონდენტის განცხადებით, მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლები განფენილია შორ მანძილზე, ხოლო **ინფრასტრუქტურა კი გაუმართავია**. ასევე, არის **ტრანსპორტის პრობლემა** სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. მისი თქმით, სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები მოკლებული არიან შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, რის შესაძლებლობაც დაბა მესტიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, პრობლემურია **ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა**. მისი თქმით, ნაკლებადაა ახალგაზრდებისთვის შეკრების და სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ადგილები. გარდა ამისა, რესპონდენტი პრობლემად ასახელებს **განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც**, რაც, მისი თქმით, დაკავშირებულია სკოლებში კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობასთან. რესპონდენტის განცხადებით, ტურიზმის სფეროს განვითარებამ ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების შექმნას, ამიტომ დასაქმების პრობლემა შედარებით ნაკლებად არის აქტუალური. მისი განცხადებით, ჩამოთვლილი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში.

„მანძილი ქმნის ყველაზე დიდი პრობლემას, და ის, რომ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. არ არსებობს ახალგაზრდების შეკრებისთვის და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების ადგილი. მოგეხსენებათ მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლები განფენილია ერთმანეთისგან შორ მანძილზე და ტრანსპორტის პრობლემაც არსებობს. მესტიის მუნიციპალიტეტში უფრო მეტი საჭიროების წინაშე დგანან სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები, ვიდრე დაბა მესტიაში მცხოვრები ახალგაზრდები. არის განათლების პრობლემაც. სკოლებში კვალიფიკაციური კადრების პრობლემა შეინიშნება ამ ბოლო დროს, სულ ეძებენ კადრებს. მას შემდეგ რაც ტურიზმის სფერო განვითარდა საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა დასაქმდა.“
(სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. მონაწილეების ნაწილი თავადაც არის აღნიშნული პროექტების მონაწილე. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა დაასახელეს სვანეთის ახალგაზრდული იდეის, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის, ახალგაზრდული ფრთის, ახალგაზრდები მთისთვის, სვანეთის სათემო ორგანიზაციის და

ექსესის პროექტები. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროექტებს და ამბობენ, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი რესპონდენტები უფრო მეტად არიან ჩართული აღნიშნულ პროგრამებში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები.

კვლევის მონაწილეები აცხადებენ, რომ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა ყველა ახალგაზრდას შეუძლია და ბევრი არის კიდევ ჩართული. არასრულწლოვანი ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ამა თუ იმ აქტივობის შესახებ ფეისბუქის საშუალებით იგებენ, სადაც სპეციალური ჯგუფი აქვთ შექმნილი. რამდენიმე სრულწლოვანი რესპონდენტის განცხადებით, ყველა ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტივობებში, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს.

„მე ძალიან განმავითარა, ბევრი რამ ვისწავლე. ადამიანის ჩამოყალიბებაში მსგავსი პროექტები და ტრენინგები ძალიან დიდ როლს ასრულებს. ძალიან მეხმარება განვითარებაში, მეტად კომუნიკაბელური გამხადა. ახალ ურთიერთობებს უფრო ადვილად ვამყარებ და საუბარიც უფრო მიმარტივდება. ალბათ ეს ძალიან გვეხმარება იმაში, რომ განვვითარდეთ როგორც პიროვნულად, ისე სხვა ნებისმიერ საკითხში.“ (ქალი, 16 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ზოგადად ძალიან მომწონს პროექტების კეთება, რადგან მათ გასაკეთებლად საჭიროა ჯერ პრობლემა იპოვნო და მაქსიმალურად ეცადო რომ ეს პრობლემა აღმოგვხვრას. ჩემი აზრით, აქაური ახალგაზრდები მაქსიმალურად ცდილობენ და აკეთებენ ამას.“ (ქალი, 14 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს, თუმცა კონკრეტულ მათგანზე არ საუბრობს. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტი ჩართულია სკოლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებაში. გარდა ამისა, როდესაც რაიმე მასშტაბური ღონისძიება ტარდება, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოფლიდან ახალგაზრდების ტრანსპორტირების საკითხს. ასევე მისი განცხადებით, პანდემიის პერიოდში ჰქონდათ მოხალისეობის პროგრამა, რომელშიც ახალგაზრდები იყვნენ ჩართული.

„ასე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ. ზოგადად მუნიციპალიტეტი ჩართულია, რომ სკოლის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. მოგეხსენებათ სკოლები განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან და თუ რაიმე ტექნიკური დახმარება სჭირდებათ, ვთქვათ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, საპირფარეოების კუთხით, მუნიციპალიტეტი აბსოლუტურად ჩართულია და სკოლების უმრავლესობას ეს პრობლემები მოხსნილი აქვთ.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მერიის

ახალგაზრდული სამსახური ინფორმირებულია ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, თანამშრომლობენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იყენებენ მათ მიერ ჩატარებულ კვლევებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში ყავთ წარმომადგენელი, რომელთა დახმარებითაც ავრცელებენ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც ისაუბრეს მათ მიერ შეთავაზებულ აქტივობების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, ისინი სხვადასხვა პროგრამას ახორციელებენ ახალგაზრდებისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო და საქველმოქმედო აქტივობებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ინიციატივით მესტიაში მალე იფუნქციონირებს მესტიის რადიო. გარდა ამისა, ორგანიზაციას შეაქვს საკუთარი ინიციატივები მერიაში.

„ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 20-მდე ახალგაზრდა და ეს ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებას, ვიკვლევთ საჭიროებებს და ვაკეთებთ სხვადასხვა პროექტებს. ამ ეტაპზე კერძოვით სხვადასხვა არასამთავრობოებში შევიტანეთ ჩვენი ბიზნეს იდეები. დაგვიფინანსეს მესტიის რადიო. კიდევ გვაქვს საქველმოქმედო პროექტი. კიდევ გვაქვს პროექტი და გვინდა, რომ მესტიის მთავარ ქუჩას დაერქვას „თავიუფალი ხალდეს ქუჩა“. შევიტანეთ მერიაში პეტიცია და სავარაუდოდ, იქნება განხილვა და დავარქმევთ ამ სახელს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ თვეში ერთხელ მართავენ შეხვედრებს ახალგაზრდებთან, სადაც მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ. რაც შეეხება პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მონაწილეთა ჩართვის პროცესს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და ელჩები თავად ავრცელებენ ინფორმაციას აქტივობების შესახებ.

ახალგაზრდების ჩართულობა

თავად კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდების მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა, მათი ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მაინც უნდა ხდებოდეს.

ახალგაზრდები აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა კითხოს ახალგაზრდებს აზრი მათი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, შემდეგ კი მიღებული შედეგები გამოიყენონ საქმიანობის დაგეგმვისას. ახალგაზრდების ამბობენ, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ბიუჯეტირების პროცესში.

„მნიშვნელოვანია გამოკითხვების ჩატარება, პრობლემების ანალიზი და მის აღმოსაფხვრელად პროექტების მომზადება. მსგავსი პროექტები იქნებოდა მისაღები და ნებისმიერში ჩავერთვებოდი სიამოვნებით.“ (ქალი, 16 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი აზრით, სათანადოდ არ არიან ჩართული და ეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ან მხოლოდ ახალგაზრდების ბრალი არ არის. ორივესია თანაბრად.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ხაიში, მესტიის მუნიციპალიტეტი)

„ახალგაზრდებში არის სიზარმაცის პრობლემა, თუმცა მაინც უნდა მოხდეს ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის მართვის პროცესებში.“ (ქალი, 30 წლის, დაბა მესტია, მესტიის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. როგორც რესპონდენტი ამბობს, მათ ჰყავთ ყველა სოფელში აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან შეხვედრებს და ეხმარებიან მუნიციპალიტეტს ახალი იდეების გენერირებაში. რესპონდენტის განცხადებით, სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით და მისი თქმით, ახალგაზრდების მხრიდან დიდია დაინტერესება.

„ჩვენ ინფორმირება მოვახდინეთ ამ საკითხზე, რომ ხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა და საკმაოდ დიდი დაინტერესებაა. ყოველთვის მოდიან და გვეკითხებიან, რა ხდება და როგორ ხდება. ჩვენც შეძლებისდაგვარად გვაქვს ახალგაზრდებთან კონტაქტი. ბოლო პერიოდში კარგად მივდიოდით, მაგრამ ვირუსის გამო მესტიის მუნიციპალიტეტი რომ ჩაიკეტა, ცოტა შევჩერდით. ჩვენ შერჩეული გვყავს ყველა სოფელში კონკრეტული ახალგაზრდები, რომლებიც კონტაქტზე არიან ჩვენთან და სამუშაო შეხვედრებსაც ყოველთვის ესწრებიან. გვეხმარებიან იდეების დონეზე, როგორ უნდა განვითარდეთ და წავიდეთ ამ სტრატეგიის შემუშავების პროცესში.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდების მხრიდან დაინტერესება და ჩართულობის ხარისხი დიდია მათ აქტივობებში.

„აქტიური კომუნიკაცია გვაქვს მთელი სვანეთის მცხოვრებლებთან და ეს კომუნიკაცია უფრო ჩართულობას იწვევს და ბევრი მოხალისე ემატება. ბევრს უჩნდება სურვილი თვითონაც გააკეთოს მსგავსი კარგი საქმეები თავისი თემისთვის“

და მთელი სვანეთისთვის.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მერიის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სოფლებში მოეწყოს ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და დაგეგმვენ და განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. მისი განცხადებით, იგეგმება მესტიის თეატრში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით სპექტაკლების დადგმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სურთ გააკეთონ გიდების გადამზადების სასერთიფიკაციო პროგრამა სოფლად მცხოვრები მოსახლობლისთვის და ამ კუთხით ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას. ასევე, სურთ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი აცხადებს, ორგანიზაციას გააჩნია ოთხწლიანი სტრატეგია და აპირებენ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.

„რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გვინდა გავაწევრიანოთ. სხვადასხვა გრანტები გვინდა მოვიგოთ. ეს გიდების გადამზადება იქნება, სხვადასხვა ტურების გაკეთება, რომ დავაინტერესოთ ეს ხალხი სოფელში რომ ცხოვრობს და შემოსავალი არ აქვთ. გიდების სერტიფიკატი ავალდებინოთ და გავუჩინოთ შემოსავლის წყარო.“
(არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, მესტიის მუნიციპალიტეტი)

დასკვნა

მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა რამდენიმე პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი საუბრობს საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობაზე. მათი ნაწილი ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მუდმივად დაკეტილია, ასევე არ არსებობს წიგნის მაღაზია. არასრულწლოვანი რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიღება, რადგან არ არსებობს შესაბამისი სივრცეები. რესპონდენტების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს არ ეძლევათ თავიანთი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული წრეები. გარდა ამისა, ახალგაზრდების

განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის არარსებობა.

კვლევის მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემაზეც. მათი განცხადებით, დასაქმების მსურველს შეუძლია დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, თუმცა სხვა სფეროში დასაქმება პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტში კადრების ნაკლებობაზე.

ახალგაზრდების ნაწილის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, გზების გაუმართაობა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ასევე, რამდენიმე რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მათი განცხადებით, რამდენიმე სოფელში ნაგვის ურნებიც არ არის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, საჭიროა მეტი აქტიურობა ახალგაზრდების მხრიდან. ასევე, რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, კერძო სექტორიც უნდა იყოს ჩართული პრობლემების მოგვარებაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს სთხოვეს. მისი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს - ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ტრანსპორტის პრობლემა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული სივრცეების მცირე რაოდენობა, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დაკავშირებულია სკოლებში კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობასთან. მისი განცხადებით, ჩამოთვლილი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ სოფლებში დგას.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. მონაწილეების ნაწილი თავადაც არის აღნიშნული პროექტების მონაწილე. ახალგაზრდები დადებითად აფასებენ აღნიშნულ პროექტებს და ამბობენ, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი რესპონდენტები უფრო მეტად არიან ჩართული აღნიშნულ პროგრამებში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები.

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს, თუმცა კონკრეტულ მათგანზე არ საუბრობს. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტი ჩართულია სკოლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებაში. გარდა ამისა, როდესაც რაიმე მასშტაბური ღონისძიება ტარდება, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოფლიდან ახალგაზრდების ტრანსპორტირების

საკითხს. ასევე მისი განცხადებით, პანდემიის პერიოდში ჰქონდათ მოხალისეობის პროგრამა, რომელშიც ახალგაზრდები იყვნენ ჩართული.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც ისაუბრეს მათ მიერ შეთავაზებულ აქტივობების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, ისინი სხვადასხვა პროგრამას ახორციელებენ ახალგაზრდებისთვის, მათ შორის საგანმანათლებლო და საქველმოქმედო აქტივობებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ინიციატივით მესტიაში მალე იფუნქციონირებს მესტიის რადიო. გარდა ამისა, ორგანიზაციას შეაქვს საკუთარი ინიციატივები მერიაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ თვეში ერთხელ მართავენ შეხვედრებს ახალგაზრდებთან, სადაც მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ.

რაც შეეხება პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მონაწილეთა ჩართვის პროცესს, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობების შესახებ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით ავრცელებენ. მათი განცხადებით, თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში ყავთ წარმომადგენელი, რომელთა დახმარებითაც ავრცელებენ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. სრულწლოვანი მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან არ აქვთ ინტერესი მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდების მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა, მათი ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მაინც უნდა ხდებოდეს.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. როგორც რესპონდენტი ამბობს, მათ ჰყავთ ყველა სოფელში აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან შეხვედრებს და ეხმარებიან მუნიციპალიტეტს ახალი იდეების გენერირებაში. რესპონდენტის განცხადებით, სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით და მისი თქმით, ახალგაზრდების მხრიდან დიდია დაინტერესება.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდების მხრიდან დაინტერესება და ჩართულობის ხარისხი დიდია მათ აქტივობებში.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მერიის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სოფლებში მოეწყოს ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და

დაგეგმვენ და განხორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. მისი განცხადებით, იგეგმება მესტიის თეატრში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით სპექტაკლების დადგმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ გეგმვენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სურთ გააკეთონ გიდების გადამზადების სასერთიფიკაციო პროგრამა სოფლად მცხოვრები მოსახლობისთვის და ამ კუთხით ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას. ასევე, სურთ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი აცხადებს, ორგანიზაციას გააჩნია ოთხწლიანი სტრატეგია და აპირებენ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 211 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს. მათგან 73 ახალგაზრდა (35%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 111 ახალგაზრდა (53%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 27 ახალგაზრდაა (13%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 50% - მდედრობითი სქესის, ხოლო 50% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დანართი, ცხრილი 2). რესპონდენტთა 53% მესტიის მუნიციპალიტეტში დაბის ტიპის დასახლებაში ცხოვრობს, 46% - სოფლებში (იხ. დანართი, ცხრილი 4). გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (78%), ხოლო 12% დაქორწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ახალგაზრდების მდგომარეობის ზოგადი შეფასება

გამოკითხული ახალგაზრდების 44%-ის შეფასებით, ზოგადად, ახალგაზრდების მდგომარეობა მესტიის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია, 24%-ის თქმით - არადამაკმაყოფილებელი, ხოლო 27% ახალგაზრდების მდგომარეობას შუალედურად აფასებს და ამბობს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მდგომარეობა არც დამაკმაყოფილებელი და არც არადამაკმაყოფილებელია (იხ. დანართი, ცხრილი 5).

გარდა ამისა, გამოკითხვის ფარგლებში ახალგაზრდებს სთხოვეს, ეპასუხათ, რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ³ დებულებებს მათი შესაძლებლობების შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს, რომ აქვს შესაძლებლობა, აკეთოს საყვარელი საქმე (70%), აქვს შესაძლებლობა თავისუფალი დრო გაატაროს საკუთარი სურვილის შესაბამისად (77%), აქვს საშუალება, რომ მიიღოს მისთვის საჭირო განათლება (54%). გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი (77%) კი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ აქვს საკუთარი შემოსავალი და ოჯახის დახმარების გარეშე შეუძლია ირჩინოს თავი (იხ. დანართი, ცხრილი 6, 8, 9 და ცხრილი 11). დებულებების ნაწილი ახალგაზრდების მუნიციპალიტეტისადმი დამოკიდებულებებსა და მუნიციპალიტეტში არსებულ შესაძლებლობებს ეხებოდა. ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობს (85%).

ამავდროულად, მათი უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებებს, რომ რეგიონში სასურველი სამუშაოს პოვნა შესაძლებელია (77%), რომ მუნიციპალიტეტში არის სპორტული ცენტრი, სადაც შეუძლია ივარჯიშონ (78%), სურთ სოფლიდან/მუნიციპალიტეტიდან წასვლა (65%), სურთ საქართველოდან წასვლა (75%) (იხ. დანართი, ცხრილი 7, 10, 12, 13 და ცხრილი 14).

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას. გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დასაქმების

³ პასუხები 4 ქულიანი სკალიდან 2 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1 „ვეთანხმები“, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 2 – „არ ვეთანხმები“.


(43%), ახალგაზრდული სივრცეების არარსებობის (31%), სამედიცინო მომსახურების (30%), სკოლის ინფრასტრუქტურს (18%), დაბინძურებულ გარემოსა (17%) და მუნიციპალიტეტში/სოფელში სკვერის არარსებობას (16%) გამოჰყოფს. სხვა პრობლემებს კი უფრო იშვიათად ასახელებენ (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

დაასახელეთ თქვენთვის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით; გრაფიკზე ნაჩვენებია 20 ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს სამი პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ახალგაზრდების მონაწილეობა

გარდა ზემოთაღნიშნული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში შეისწავლებოდა ახალგაზრდების მონაწილეობა და ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში. გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (90%) მიაჩნია, რომ ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა მნიშვნელოვანია. კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, სრულწლოვან რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 16 და ცხრილი 17).

ზოგადად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით. საინტერესოა, რომ უფრო მეტი 26-29 წლის რესპონდენტი ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით, ვიდრე 14-17 წლის რესპონდენტები (იხ. დანართი, ცხრილი 18).

გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია, მათ შორის, 10% თვლის რომ სრულიად გათვალისწინებულია, ხოლო 51%-ის აზრით, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა.

კვლევა ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობასა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობისთვის საჭირო საკითხების შესახებ მათ ინფორმირებულობას ზომავდა. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის (საერთოდ არ ვარ ჩართული - 23%, უფრო ჩართული ვარ, ვიდრე არ ვარ ჩართული - 40%) (იხ. დანართი, ცხრილი 26). გამოკითხულთა 15% ამბობს, რომ კარგად იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, 45% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) თქმით, ცოტა იცის, ხოლო 12%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში. საინტერესოა, რომ უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ამბობს, რომ კარგად იცის, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, ვიდრე არასრულწლოვნები (იხ. დანართი, ცხრილი 20). ასევე, გამოკითხული ახალგაზრდების 17% აცხადებს, რომ კარგად იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, 44% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) განმარტებით ცოტა რამ იცის, ხოლო 9%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება. ამ შემთხვევაშიც, უფრო მეტი სრულწლოვანი ახალგაზრდა ამბობს, რომ კარგად იცის, თუ რა სერვისებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, ვიდრე არასრულწლოვანი რესპონდენტები (იხ. დანართი, ცხრილი 21). ასევე, გამოკითხულთა 19% ამბობს, რომ კარგად იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა ელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, 26% აცხადებს, რომ ცოტა რამ იცის აღნიშნული საკითხის შესახებ, 7%-ის განცხადებით კი საერთოდ არ იცის, მომსახურების რა ხარისხს უნდა ელოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. ამ შემთხვევაში სრულწლოვანი ახალგაზრდების მკვეთრად მეტი წილი ამბობს, რომ კარგად იცის აღნიშნული საკითხი, ვიდრე არასრულწლოვანი ახალგაზრდები (იხ. დანართი, ცხრილი 23).

გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების 27% ამბობს, რომ კარგად იცის, სად და როგორ მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, 43% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, ხოლო 18% ფიქრობს, რომ ცოტა რამ იცის ამ საკითხის შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების 7%-ის განცხადებით კი საერთოდ არ იცინ, სად და როგორ შეიძლება, მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი სრულწლოვანი ამბობს, რომ კარგად

ინფორმირებულია მსგავსი საკითხის შესახებ, ვიდრე არასრულწლოვნები (იხ. დანართი, ცხრილი 24). რაც შეეხება ისეთი საკითხის შესახებ ინფორმირებულობას, როგორცაა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაპირებების შესრულება, გამოკითხულთა 31% ამბობს, რომ კარგად იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს, 39%-ის თქმით, მეტ-ნაკლებად იცის, 14% ამბობს, რომ ცოტა რამ იცის, ხოლო 7%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, თუ როგორ ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებებს (იხ. დანართი, ცხრილი 25). ზოგადად კი გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად სოციალური ქსელების საშუალებით (57%), ახლობლების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან (53%) და ინტერნეტის საშუალებით (41%) იღებენ (იხ. დანართი, ცხრილი 28_1 - ცხრილი 28_12).

კვლევა ასევე ეთმობოდა იმ სამოქალაქო აქტივიზმის სახეების გამოვლენას, რომელშიც ახალგაზრდები არიან ჩართული. ყველაზე ხშირად გამოკითხულმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ დაესწრნენ საჯარო შეხვედრას (23%), მიიღეს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში (23%), მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობებში (17%). სხვა სახის აქტივობები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2). რაც შეეხება ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხულთა უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული არ ყოფილა. საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი ახალგაზრდების მკვეთრად მეტი წილი ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, ვიდრე სრულწლოვანი ახალგაზრდები. ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) ამბობს, გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული იყო. 15%-ს კი კითხვაზე პასუხის გაცემა ან გაუჭირდა ან უარი თქვა (იხ. დანართი, ცხრილი 29).

მათ ვინც თქვეს, რომ მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (25%) სთხოვეს, შეეფასებინათ, მონაწილეობის ხარისხი შემდეგი დებულებების მიხედვით.

- ჩემი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყო ფორმალური, ზუსტად არ ვიცოდი, რა მიზანს ემსახურებოდა და არ ვიღებდი გადაწყვეტილებებს;
- ხელმძღვანელები ჩემგან იღებდნენ რჩევებს, თუ როგორ განხორციელებულიყო ესა თუ ის პროექტი, მაცნობდნენ მიმდინარე საკითხებს, მავალბდნენ გასაკეთებელ საქმეებს;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ჩემთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას გასაკეთებელ საქმეებზე, აქტიურად ვიყავი ჩართული დაგეგმილი პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე და ზოგჯერ ვიღებდი გადაწყვეტილებას;
- ჩემი ინიციატივით დაიგეგმა აღნიშნული პროგრამა/ინიციატივა/აქტივობა, ვიყავი ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიმღები პირი ყველა ეტაპზე.


ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მასთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას, აქტიურად იყო ჩართული პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე და ზოგჯერ იღებდა გადაწყვეტილებას (42%), გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი ამბობს, რომ ხელმძღვანელები მისგან იღებდნენ რჩევებს, აცნობდნენ მიმდინარე საკითხებსა და ავალბდნენ გასაკეთებელ საქმეებს (23%); სხვა დებულებები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 30_1 - ცხრილი 30_4).

დიაგრამა 2

რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (60%), ამის მიზეზად ყველაზე ხშირად თავისუფალი დროის არქონას (33%) ასახელებენ. 28% კი ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, 13%-ის განცხადებით კი გვიან გაიგო აღნიშნული აქტივობის შესახებ. სხვა მიზეზები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 ცხრილი 31_7).


მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის გარდა, კვლევის ნაწილი ეთმობოდა ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებში ჩართვასა და ახალგაზრდების მიერ მუნიციპალიტეტისთვის შეთავაზებულ ინიციატივებს. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო 3%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა (იხ. დიაგრამა 3). მათ, ვისაც არ მიუღია შეთავაზებულ პროგრამებში მონაწილეობა (46%), ყველაზე ხშირად არმონაწილეობის მიზეზად პროგრამებისადმი ინტერესისა (36%) და საკმარისი დროის არქონა (31%) დასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 41_1 - ცხრილი 41_6).

რაც შეეხება ახალგაზრდების ინიციატივას, კითხვაზე გეჰყონათ თუ არა ახალგაზრდული ინიციატივა/პროექტი, რომლის განხორციელებისთვის მიგიმართავთ მუნიციპალიტეტისთვის, გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ მსგავსი ინიციატივით არ მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის. რესპონდენტების თითქმის მეოთხედი (24%) კი ამბობს, რომ მიუმართავთ ინიციატივით მუნიციპალიტეტისთვის (იხ. დიაგრამა 3). მათგან ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად მიმართეს (61%), ასევე ხშირად - ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (47%), ტექნიკური მხარდაჭერისთვის (29%) და ტრასპორტით უზრუნველყოფისთვის (27%) მიუმართავთ. სხვა სახის ინიციატივით მიმართვა კი უფრო იშვიათად სახელდება. მათ ვინც მიმართეს მუნიციპალიტეტს ინიციატივით, მათი უმრავლესობა (66%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი მათ სრულიად დაეხმარა, 16%-ის თქმით ნაწილობრივ დაეხმარა, 2%-ის თქმით დახმარება უმნიშვნელო იყო, ხოლო 4% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტი საერთოდ არ დაეხმარა. 12%-მა კი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა (იხ. დანართი, ცხრილი 44). რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელსაც არ მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე ინიციატივით (73%), მათი ძირითადი ნაწილი არმიმართვის მიზეზად ასახლებს იმას, რომ ასეთი ინიციატივა არ გასჩენიათ (43%) (იხ. დანართი, ცხრილი 45_1 – 45_7).

დიაგრამა 3

მიიღეთ თუ არა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში? გეონათ თუ არა რაიმე სახის ახალგაზრდული ინიციატივა/პროექტი, რომლის განხორციელებისათვის მიგიმართავთ მუნიციპალიტეტისთვის? (%)



ზემოთგანხილული საკითხების გარდა, კვლევისთვის საინტერსო იყო ახალგაზრდების ჩართულობა გარემოსდაცვით საქმიანობაში. გამოკითხულთა უმრავლესობა (67%) ამბობს, რომ გარემოსდაცვით საქმიანობაში მონაწილეობა მიუღიათ, ყველაზე ხშირად კი - დასუფთავების აქციაში (93%) (იხ. დანართი, ცხრილი 54_1 - ცხრილი 54_4). გარემოსდაცვასთან დაკავშირებით ახალგაზრდებს ეკითხებოდნენ, თუ რა აქტივობების განხორციელებას ისურვებდნენ გარემოს დაცვის გასაუმჯობესებლად. ყველაზე ხშირად გამოკითხული ახალგაზრდები ნარჩენების დახარისხების შესაძლებლობას (41%), ნაგავსაყრელის მოწყობას (34%), ხეების გაჩეხვის შეზღუდვას (32%) და ჰაერის ნაკლებ დაბინძურებას (30%) ისურვებდნენ (იხ. დანართი, ცხრილი 55_1 - ცხრილი 55_8).

მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში⁴ საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 32). გამოკითხულთა 17% ამბობს, რომ თვეში ერთხელ მაინც მოხალისეობს, 29% - სამ თვეში ერთხელ, 12% - ნახევარ წელში ერთხელ, 18% კი - წელიწადში ერთხელ. (იხ. დანართი, ცხრილი 33). მათგან ვინც ამბობს, რომ ჩართულია ხოლმე მოხალისეობრივ აქტივობებში (48%) ყველაზე ხშირად მოხალისეობრივი საქმიანობის მთავარ მოტივად სხვების დახმარების სურვილს ასახელებენ (72%), მოტივად ასევე ხშირად დასახელდა თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის (37%), სიახლეების სწავლა (35%), მეგობრებთან ერთად ყოფნა

⁴ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

და საქმის ერთად კეთების სურვილი (31%), ასევე - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების სურვილი (18%). სხვა სახის მოტივები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 34_1 - ცხრილი 34_11). რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს (53%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 35_1 - ცხრილი 35_15).


გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (58%), სარგებლობენ სოციალური ქსელებით (57%) და უყურებენ ტელევიზორს (36%), უსმენენ მუსიკას (36%) და კითხულობენ წიგნს (32%). სხვა ტიპის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

როგორ ერთობით და ისვენებთ თავისუფალ დროს? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით
 ■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის საკითხებს, გამოკითხული ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა მონაწილე ან ორგანიზატორი შემოქმედებით-სამოყვარულო ხელოვნების ღონისძიებებში (იხ. დანართი, ცხრილი 47a). მათგან ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ღონისძიებებში შემდეგ აქტივობებს აკეთებდნენ: ცეკვა (49%), სიმღერა (33%), ფილმის გადაღებაში მონაწილეობა (19%), თეატრალურ სპექტაკლში როლის შესრულება (10%). სხვა სახის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 47_1 – 47_9).


გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (77%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში დასწრებია რაიმე კულტურულ ღონისძიებას. მათგან ყველაზე ხშირად დაესწრნენ ცეკვისა (67%) და სიმღერის კონცერტს (54%), ეწვივნენ მუზეუმს ან გალერეას (51%) და იყვნენ თეატრში (20%). სხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_7).

კითხვაზე გასული 12 თვის განმავლობაში ეწვიეთ თუ არა ბიბლიოთეკას, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (23%) ამბობს, რომ რეგულარულად სარგებლობს ბიბლიოთეკით, 39%-ს განცხადებით კი გასული 12 თვის განმავლობაში რამდენჯერმე უსარგებლია ბიბლიოთეკით, ერთხელ ისარგებლა 9%-მა, ხოლო საერთოდ არ ყოფილა 20%. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვან რესპონდენტთა მეტი წილი დადის ბიბლიოთეკაში, ვიდრე სრულწლოვანი მონაწილეები (იხ. დანართი, ცხრილი 50). რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ არ ეწვივენ ბიბლიოთეკას ბოლო 12 თვის განმავლობაში, ყველაზე ხშირად მიზეზად ბიბლიოთეკაში წიგნების მწირ არჩევანს (29%), არაკომფორტულ პირობებსა და მომსახურებას (24%), ბიბლიოთეკის საცხოვრისისგან შორს ყოფნას/დასახლებაში ბიბლიოთეკის არარსებობას (19%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 51_1 - ცხრილი 51_6).

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, (52%) ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის (44%), ველობილიკებისა (42%) და შემოქმედებითი წრეების (31%) არსებობა სურთ. ასევე, ხშირად დასახელდა ბიბლიოთეკისა (26%) და ბანაკების (21%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ველობილიკებისა და შემოქმედებითი წრეების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტებისთვის. ასევე, ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად სრულწლოვანი რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)
 შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. 40% კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 12%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 36). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (75%) და ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად (55%) გამოუყენებია, ხოლო მესამედზე მეტს (31%) - ახალგაზრდული პროექტებისა და ღონისძიებების დასამუშაველად/დასაგემად; რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლიათ სივრცით (10%), ყველაზე ხშირად მიზეზად აღნიშნავენ, რომ სივრცის გამოყენების მიმართ ინტერესი არ ჰქონდათ (62%) (იხ. დანართი, ცხრილი 39_1 - ცხრილი 39_8).

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები


კვლევის ინტერესის საგანს მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 11% დასაქმებულია, 11% ეძებს სამუშაოს, ხოლო 74% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, 44% ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი,

18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 29% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

თუ დაუსაქმებელი ხართ, ეძებთ თუ არა სამსახურს?(%)

■ დიახ ■ არა ■ დასაქმებული ვარ ■ უარი პასუხზე



გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მესამედი (37%) ფიქრობს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას, ხოლო ნახევარზე მეტრედით მეტი (52%) ფიქრობს, რომ აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის პრობლემური. 11%-მა კი პასუხის გაცემისგან ან თავი შეიკავა, ან თქვა რომ პასუხი არ იცის (იხ. დანართი, ცხრილი 56).

კითხვაზე, თუ რა მახასიათებლებით უნდა გამოირჩეოდეს ახალგაზრდა ადამიანისათვის იდეალური სამუშაო, რესპონდენტები ყველაზე ხშირად შემდეგ მახასიათებლებს ასახელებენ: პროფესიის შესაბამისი სამუშაო (54%), კარიერული წინსვლის შესაძლებლობა (52%), პროფესიული ზრდის შესაძლებლობა (46%), მაღალი ხელფასი (37%), პიროვნული განვითარების შესაძლებლობა (25%), სხვების დახმარების შესაძლებლობა (19%). სხვა მახასიათებლები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 – ცხრილი 57_10). ხოლო იმისთვის რომ ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყოს, რესპონდენტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, განათლების დონე (74%), მონდომება (70%) და პროფესიონალიზმი (64%). სხვა პასუხები კი იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 – 58_8).

სპორტული აქტივობები

მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი, საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. მათგან, ვინც


აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით არის დაკავებული, 16% უარს ამბობს დააკონკრეტოს რომელი ფიზიკური აქტივობითაა დაკავებული, 35%-ის განცხადებით, სირბილითაა დაკავებული, 17% ამბობს, რომ თამაშობს ფეხბურთს, 15%-ის განცხადებით, თამაშობს ფრენბურთს, ხოლო 13%-13% ამბობს, რომ ტრენაჟორებით ვარჯიშობს და ლაშქრობას უთმობს დროს. (იხ. დანართი, ცხრილი 66_1 – 66_19). რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის ისეთ სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული (იხ. დანართი, ცხრილი 67). ჩაურთველობის მიზეზად შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობას (45%), არასაკმარის დროს (33%), ინფრასტრუქტურის არარსებობას (28%) და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობას (28%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ ხართ ჩართული აღნიშნულ სპორტში? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავენე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 81% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 53%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 27% აცხადებს, რომ იშვიათად მოიხმარს ალკოჰოლს. აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 58% აცხადებს, რომ

არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო მამრობითი სქესის 48% აცხადებს იმავეს. გამოკითხულთა 26% ამბობს, რომ აზარტულ თამაშებს იშვიათად თამაშობს (სამ თვეში ერთხელ). ახალგაზრდების 27% კი ამბობს, რომ უთამაშია აზარტული თამაშები ინტერნეტით (იხ. დანართი, ცხრილი 70, 71, 72 და 73).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს. მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), მათი უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით, ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა (იხ. დანართი, ცხრილი 75_1 - ცხრილი 75_12).

ტექნოლოგიებთან წვდომა

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (89%) აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით (87%). ხოლო 32%-ის განცხადებით, ინტერნეტთან წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან (იხ. დანართი, ცხრილი 76, 77_1 - ცხრილი 77_5).

ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად (54%), სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (53%), ახლობლებთან საკონტაქტოდ (49%), სასწავლო მასალების მოძიებისთვის (45%) და ახალი ამბების გასაცნობად (27%) იყენებენ (იხ. დანართი, ცხრილი 78_1 - ცხრილი 78_12). ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს, ხოლო 18% საპირისპიროს აცხადებს (იხ. დანართი, ცხრილი 79).

დისკრიმინაცია/ჩაგვრა

გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი (84%) ამბობს, რომ არ განუცდიათ ჩაგვრა, 9% კი ამბობს, რომ მსგავსი გამოცდილება აქვს. მათგან, ვინც აცხადებს, რომ ჩაგვრა განუცდია, 53% ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას რამდენჯერმე ჰქონია ადგილი, 16%-ის განცხადებით, ასეთი რამ ერთხელ მოხდა, ხოლო 32% უარს აცხადებს პასუხის გაცემისგან. ახალგაზრდების განცხადებით, ჩაგვრა უფროსი ადამიანის (47%) და მასწავლებლის (26%)

მხრიდან განუცდიათ. მათგან, ვისაც განუცდია ჩაგვრა, 63% ამბობს, რომ წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 16%-ის განცხადებით, არაფერი გაუკეთებია (იხ. დანართი, ცხრილი 80a, 80_1 - 80_5, 81_1 - 81_5).

ახალგაზრდების ასევე უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს. მათგან, ვინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს, 79%-ის განცხადებით, წინააღმდეგობა გაუწია მჩაგვრელს, ხოლო 8%-ს არაფერი გაუკეთებია. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ სხვა ახალგაზრდების ჩაგვრის მიზეზი მათი გარეგნობა (44%), აქცენტი და საუბრის მანერა (18%), პოლიტიკური შეხედულებები (12%) და შეზღუდული შესაძლებლობები (11%) იყო (იხ. დანართი, ცხრილი 82, 83_1 - 83_5, 84_1 - 84_12).

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 44%-ის ფიქრობს, რომ ზოგადად, ახალგაზრდების მდგომარეობა მესტიის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია, 24%-ის თქმით არადაკმაყოფილებელია, ხოლო 27% ახალგაზრდების მდგომარეობას შუალედურად აფასებს. გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია. გამოკითხული ახალგაზრდებს ყველაზე პრობლემურად მიაჩნიათ დასაქმების (43%), ახალგაზრდული სივრცეების არარსებობის (31%), სამედიცინო მომსახურების (30%), სკოლის ინფრასტრუქტურის (18%), დაბინძურებულ გარემოსა (17%) და მუნიციპალიტეტში/სოფელში სკვერის არ არსებობის (16%) საკითხები.

ზოგადად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობით, თუმცა გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. გამოკითხულთა მცირე ნაწილი - 15% ამბობს, რომ კარგად იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში, 45% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) თქმით, ცოტა იცის, ხოლო 12%-ის განცხადებით, საერთოდ არ იცის, როგორ ჩაერთოს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში.

კვლევა ასევე ეთმობოდა სამოქალაქო აქტივიზმის საკითხებსაც. ყველაზე ხშირად გამოკითხულმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ განახორციელეს შემდეგი აქტივობები: დაესწრნენ საჯარო შეხვედრას (23%), მიიღეს მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში (23%), მიიღეს მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობებში (17%). რაც შეეხება ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხულთა უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული არ ყოფილა. მონაწილეობის არმიღების მიზეზად ყველაზე ხშირად თავისუფალი დროის არქონას (33%) და არასაინტერესო ღონისძიებებს (28%) ასახელებენ; ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) ამბობს, გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართული იყო. ზოგადად კი გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად სოციალური ქსელების საშუალებით (57%), ახლობლების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან (53%) და ინტერნეტის საშუალებით (41%) იღებენ.

გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის გარდა, კვლევის ნაწილი ეთმობოდა ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებში ჩართვასა და ახალგაზრდების მიერ მუნიციპალიტეტისთვის შეთავაზებულ ინიციატივებს. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიუღია, 46%-ის განცხადებით არ მიუღია მონაწილეობა, ყველაზე ხშირად არმონაწილეობის მიზეზად პროგრამებისადმი ინტერესისა და საკმარისი დროის არქონა დასახელეს. გამოკითხული ახალგაზრდების 17% აცხადებს, რომ კარგად იცის, თუ რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება, 44% ამბობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, მეოთხედის (25%) განმარტებით ცოტა რამ იცის, ხოლო 9%-ის განცხადებით საერთოდ არ იცის, რა სერვისებს და პროგრამებს სთავაზობს მათ ადგილობრივი ხელისუფლება.

რაც შეეხება ახალგაზრდების ინიციატივას, გამოკითხულთა უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ ინიციატივით არ მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (24%) ამბობს, რომ ინიციატივით მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის, მათგან ყველაზე ხშირად კი პროექტის/აქტივობის დასაფინანსებლად და ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების 48% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში და/ან საზღვარგარეთ, ხოლო - 47%-ის განცხადებით - არ მიუღია. მათგან ვინც ამბობს, რომ ჩართულია მოხალისეობრივ აქტივობებში (48%) ყველაზე ხშირად მოხალისეობრივი საქმიანობის მთავარ მოტივად სხვების დახმარების სურვილს ასახელებენ. რაც შეეხება ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც არაა დაკავებული მოხალისეობრივი აქტივობებით (47%), ყველაზე ხშირად მიზეზად არასაკმარის დროს ასახელებენ.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, სარგებლობენ სოციალური ქსელებით და უყურებენ ტელევიზორს, უსმენენ მუსიკას და კითხულობენ წიგნს.

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად სკვერის, ახალგაზრდობის კლუბის/სივრცის, ველობილიკებისა და შემოქმედებითი

წრების არსებობა სურთ. ასევე, დასახელდა ბიბლიოთეკისა და ბანაკების არსებობის/ფუნქციონირების სურვილი.

გამოკითხული ახალგაზრდების 45%-ის თქმით, მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. 40% კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 12%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (75%) და ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად და ახალგაზრდული პროექტებისა და ღონისძიებების დასამუშავებლად/დასაგეგმად გამოუყენებია;

კვლევის ინტერესის საგანს მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 11% დასაქმებულია, 11% ეძებს სამუშაოს, ხოლო 74% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, 44% ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 29% ეძებს სამსახურს, 32% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეოთხედი (26%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული, 39%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 52%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომელშიც ამჟამად არ არის ჩართული. მიზეზები, რის გამოც ამჟამად არ არიან ჩართული მათთვის სასურველ სპორტულ აქტივობაში შემდეგია: შესაბამისი სპორტული სკოლის/სექციის არარსებობა, არასაკმარის დრო, ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური მწვრთნელებისა და მასწავლებლების არარსებობა.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (81%) აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, ნახევარზე მეტი (53%) - არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო 55% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (58%) აცხადებს, რომ არ მოიხმარს ალკოჰოლს, ხოლო მამრობითი სქესის 48% აცხადებს იმავეს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ახალგაზრდების 53% აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი საშუალო სიმძიმის პრობლემაა, 21%-ის განცხადებით კი, არ არის პრობლემა. გამოკითხულთა 20%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს. მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდა და არ/ვერ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (20%), 69% აცხადებს, რომ არ მიიჩნია სერიოზულად ავადმყოფობა და მალევე უკეთ გახდა, 14%-ის განცხადებით ვერ დაადგინა კარგი სპეციალისტი/ექიმი, 7% კი აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო მისვლა.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. გამოკითხული ახალგაზრდების 89% აცხადებს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან. ახალგაზრდების 87% აცხადებს, რომ ინტერნეტთან წვდომა მობილური ტელეფონის საშუალებით აქვს, 32%-ის განცხადებით, ინტერნეტთან წვდომა ოჯახში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით აქვს. გამოკითხული ახალგაზრდების 4% კი ამბობს, რომ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან.

ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს ფილმების საყურებლად, სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით, ახლობლებთან საკონტაქტოდ და სასწავლო მასალების მოძიებისთვის იყენებენ. ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ ონლაინ სივრცეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოსახატად არ იყენებს.

კვლევის ნაწილი ახალგაზრდების ჩაგვრის საკითხებსაც დაეთმო. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (84%) აცხადებს, რომ თავად არ განუცდიათ ჩაგვრა, ხოლო 62% აცხადებს, რომ ერთხელ მაინც შესწრებია სხვა ახალგაზრდის ჩაგვრის ფაქტს. მათგან ვისაც ჩაგვრა განუცდია (9%), ნახევარზე მეტი (53%) ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას რამდენჯერმე ჰქონია ადგილი. ახალგაზრდების განცხადებით, ჩაგვრა ყველაზე ხშირად უფროსი ადამიანისა და მასწავლებლის მხრიდან განუცდიათ.

დანართი

1.ასაკობრივი განაწილება				
	14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სიხშირე	73	111	27	211
%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
სიხშირე	73	111	27	211
%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

2.რესპონდენტის სქესი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	3.7%	.5%
მდედრობითი	სიხშირე	37	46	22	105
	%	50.7%	41.4%	81.5%	49.8%
მამრობითი	სიხშირე	36	65	4	105
	%	49.3%	58.6%	14.8%	49.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3.ოჯახური მდგომარეობა					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	5	11	2	18
	%	6.8%	9.9%	7.4%	8.5%
დაოჯახებული	სიხშირე	68	91	17	176
	%	93.2%	82.0%	63.0%	83.4%
დასაოჯახებელი	სიხშირე	0	9	8	17
	%	0.0%	8.1%	29.6%	8.1%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4. დასახლების ტიპი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	.9%	0.0%	.5%
სიფელი	სიხშირე	33	45	20	98
	%	45.2%	40.5%	74.1%	46.4%
დაბა	სიხშირე	40	65	7	112
	%	54.8%	58.6%	25.9%	53.1%

სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5. ზოგადად, როგორ შეაფასებდით ახალგაზრდების მდგომარეობას თქვენს მუნიციპალიტეტში/სოფელში?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	4	2	4	10
	%	5.5%	1.8%	14.8%	4.7%
ძალზე არადამაკმაყოფილებელი	სიხშირე	7	14	2	23
	%	9.6%	12.6%	7.4%	10.9%
2	სიხშირე	6	15	7	28
	%	8.2%	13.5%	25.9%	13.3%
3	სიხშირე	16	32	9	57
	%	21.9%	28.8%	33.3%	27.0%
4	სიხშირე	22	22	5	49
	%	30.1%	19.8%	18.5%	23.2%
სრულიად დამაკმაყოფილებელი	სიხშირე	18	26	0	44
	%	24.7%	23.4%	0.0%	20.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

6. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს შესაძლებლობა, ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	1	2
	%	0.0%	.9%	3.7%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	45	50	8	103
	%	61.6%	45.0%	29.6%	48.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	9	30	6	45
	%	12.3%	27.0%	22.2%	21.3%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	13	23	9	45
	%	17.8%	20.7%	33.3%	21.3%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	5	5	2	12
	%	6.8%	4.5%	7.4%	5.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	2	1	4
	%	1.4%	1.8%	3.7%	1.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

7. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს რეგიონში სასურველი სამუშაოს შოვნა შესაძლებელია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
--	--	------------	------------	------------	-------------------------------

უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	1	2
	%	0.0%	.9%	3.7%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	0	4	2	6
	%	0.0%	3.6%	7.4%	2.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	11	21	6	38
	%	15.1%	18.9%	22.2%	18.0%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	38	53	8	99
	%	52.1%	47.7%	29.6%	46.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	23	31	9	63
	%	31.5%	27.9%	33.3%	29.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

8. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს შესაძლებლობა თავისუფალი დრო გავატარო საკუთარი სურვილის შესაბამისად

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	0	2
	%	0.0%	1.8%	0.0%	.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	45	56	11	112
	%	61.6%	50.5%	40.7%	53.1%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	14	27	7	48
	%	19.2%	24.3%	25.9%	22.7%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	10	18	6	34
	%	13.7%	16.2%	22.2%	16.1%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	2	5	3	10
	%	2.7%	4.5%	11.1%	4.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	2	3	0	5
	%	2.7%	2.7%	0.0%	2.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს საკუთარი შემოსავალი და ოჯახის დახმარების გარეშე შემიძლია ვირჩინო თავი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	1	3
	%	0.0%	1.8%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	0	11	7	18
	%	0.0%	9.9%	25.9%	8.5%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	4	17	4	25
	%	5.5%	15.3%	14.8%	11.8%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	11	42	8	61

	%	15.1%	37.8%	29.6%	28.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	57	38	6	101
	%	78.1%	34.2%	22.2%	47.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

10. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს სოფელში/მუნიციპალიტეტში არის სპორტული ცენტრი, სადაც შემიძლია ვივარჯიშო

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	.9%	0.0%	.5%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	2	5	2	9
	%	2.7%	4.5%	7.4%	4.3%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	8	13	2	23
	%	11.0%	11.7%	7.4%	10.9%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	19	44	10	73
	%	26.0%	39.6%	37.0%	34.6%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	39	42	10	91
	%	53.4%	37.8%	37.0%	43.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	6	3	14
	%	6.8%	5.4%	11.1%	6.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

11. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მაქვს საშუალება მივიღო ჩემთვის საჭირო განათლება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	1	1	1	3
	%	1.4%	.9%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	13	15	9	37
	%	17.8%	13.5%	33.3%	17.5%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	28	41	7	76
	%	38.4%	36.9%	25.9%	36.0%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	19	37	7	63
	%	26.0%	33.3%	25.9%	29.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	11	15	3	29
	%	15.1%	13.5%	11.1%	13.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	2	0	3
	%	1.4%	1.8%	0.0%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მინდა საკართველოდან წავიდე					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	2	4
	%	0.0%	1.8%	7.4%	1.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	1	6	1	8
	%	1.4%	5.4%	3.7%	3.8%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	8	10	5	23
	%	11.0%	9.0%	18.5%	10.9%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	15	26	3	44
	%	20.5%	23.4%	11.1%	20.9%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	43	59	12	114
	%	58.9%	53.2%	44.4%	54.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	6	8	4	18
	%	8.2%	7.2%	14.8%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: მინდა სოფლიდან/მუნიციპალიტეტიდან წასვლა					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	3	1	4
	%	0.0%	2.7%	3.7%	1.9%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	1	11	2	14
	%	1.4%	9.9%	7.4%	6.6%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	18	16	3	37
	%	24.7%	14.4%	11.1%	17.5%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	14	27	5	46
	%	19.2%	24.3%	18.5%	21.8%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	33	46	13	92
	%	45.2%	41.4%	48.1%	43.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	7	8	3	18
	%	9.6%	7.2%	11.1%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

14. რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს: ჩემს მუნიციპალიტეტში/სოფელში თავს ვგრძნობ უსაფრთხოდ					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	2	1	3
	%	0.0%	1.8%	3.7%	1.4%
სრულიად ვეთანხმები	სიხშირე	47	65	13	125

	%	64.4%	58.6%	48.1%	59.2%
უფრო ვეთანხმები	სიხშირე	21	26	7	54
	%	28.8%	23.4%	25.9%	25.6%
უფრო არ ვეთანხმები	სიხშირე	1	15	3	19
	%	1.4%	13.5%	11.1%	9.0%
საერთოდ არ ვეთანხმები	სიხშირე	4	2	1	7
	%	5.5%	1.8%	3.7%	3.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	0	1	2	3
	%	0.0%	.9%	7.4%	1.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასრულფასოვანი კვება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	110	27	208
	%	97.3%	99.1%	100.0%	98.6%
დასახელდა	სიხშირე	1	1	0	2
	%	1.4%	.9%	0.0%	.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_2. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასაკმარისი ფინანსები

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	67	92	23	182
	%	91.8%	82.9%	85.2%	86.3%
დასახელდა	სიხშირე	5	19	4	28
	%	6.8%	17.1%	14.8%	13.3%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_3. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? მედიკამენტების შექენა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	57	102	26	185
	%	78.1%	91.9%	96.3%	87.7%
დასახელდა	სიხშირე	15	9	1	25

	%	20.5%	8.1%	3.7%	11.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_4. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? დასაქმება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	46	61	13	120
	%	63.0%	55.0%	48.1%	56.9%
დასახელდა	სიხშირე	26	50	14	90
	%	35.6%	45.0%	51.9%	42.7%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_5. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სამედიცინო მომსახურება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	49	76	22	147
	%	67.1%	68.5%	81.5%	69.7%
დასახელდა	სიხშირე	23	35	5	63
	%	31.5%	31.5%	18.5%	29.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_6. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? არასაკმარისი სასკოლო ინვენტარი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	61	102	25	188
	%	83.6%	91.9%	92.6%	89.1%
დასახელდა	სიხშირე	11	9	2	22
	%	15.1%	8.1%	7.4%	10.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_7. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სკოლის ინფრასტრუქტურა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)

მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	53	99	21	173
	%	72.6%	89.2%	77.8%	82.0%
დასახელდა	სიხშირე	19	12	6	37
	%	26.0%	10.8%	22.2%	17.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_8. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	72	108	25	205
	%	98.6%	97.3%	92.6%	97.2%
დასახელდა	სიხშირე	0	3	2	5
	%	0.0%	2.7%	7.4%	2.4%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_9. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	72	106	26	204
	%	98.6%	95.5%	96.3%	96.7%
დასახელდა	სიხშირე	0	5	1	6
	%	0.0%	4.5%	3.7%	2.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_10. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ტანსაცმლის შეძენა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	108	24	203
	%	97.3%	97.3%	88.9%	96.2%
დასახელდა	სიხშირე	1	3	3	7
	%	1.4%	2.7%	11.1%	3.3%

სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_11. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	68	102	24	194
	%	93.2%	91.9%	88.9%	91.9%
დასახელდა	სიხშირე	4	9	3	16
	%	5.5%	8.1%	11.1%	7.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_12. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	54	100	24	178
	%	74.0%	90.1%	88.9%	84.4%
დასახელდა	სიხშირე	18	11	3	32
	%	24.7%	9.9%	11.1%	15.2%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_13. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სკვერის არ არსებობა მუნიციპალიტეტში/სოფელში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	61	97	19	177
	%	83.6%	87.4%	70.4%	83.9%
დასახელდა	სიხშირე	11	14	8	33
	%	15.1%	12.6%	29.6%	15.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_14. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? დასვენება, გართობა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	107	26	204
	%	97.3%	96.4%	96.3%	96.7%
დასახელდა	სიხშირე	1	4	1	6
	%	1.4%	3.6%	3.7%	2.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_15. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სპორტული მოედნების (საფეხბურთო, საკალათბურთო და სხვა) არარსებობა სოფელში/მუნიციპალიტეტში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	67	102	23	192
	%	91.8%	91.9%	85.2%	91.0%
დასახელდა	სიხშირე	5	9	4	18
	%	6.8%	8.1%	14.8%	8.5%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_16. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ვალის/საბანკო კრედიტის გადახდა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	69	102	24	195
	%	94.5%	91.9%	88.9%	92.4%
დასახელდა	სიხშირე	3	9	3	15
	%	4.1%	8.1%	11.1%	7.1%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_17. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? სიღარიბე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	69	104	26	199
	%	94.5%	93.7%	96.3%	94.3%
დასახელდა	სიხშირე	3	7	1	11

	%	4.1%	6.3%	3.7%	5.2%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_18. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? დაბინძურებული გარემო

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	59	94	21	174
	%	80.8%	84.7%	77.8%	82.5%
დასახელდა	სიხშირე	13	17	6	36
	%	17.8%	15.3%	22.2%	17.1%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_19. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? მიგრაცია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	106	27	204
	%	97.3%	95.5%	100.0%	96.7%
დასახელდა	სიხშირე	1	5	0	6
	%	1.4%	4.5%	0.0%	2.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_20. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ჯანმრთელობისთვის საშიში დაავადებების გავრცელება

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	67	109	26	202
	%	91.8%	98.2%	96.3%	95.7%
დასახელდა	სიხშირე	5	2	1	8
	%	6.8%	1.8%	3.7%	3.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_21. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ქალების არათანაბარი უფლებები

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	72	109	27	208
	%	98.6%	98.2%	100.0%	98.6%
დასახელდა	სიხშირე	0	2	0	2
	%	0.0%	1.8%	0.0%	.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_22. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? ადგილობრივი ტრანსპორტი (გადაადგილება მუნიციპალიტეტის ფარგლებში)

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	59	102	24	185
	%	80.8%	91.9%	88.9%	87.7%
დასახელდა	სიხშირე	13	9	3	25
	%	17.8%	8.1%	11.1%	11.8%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_23. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? საბინაო პირობები

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	71	109	26	206
	%	97.3%	98.2%	96.3%	97.6%
დასახელდა	სიხშირე	1	2	1	4
	%	1.4%	1.8%	3.7%	1.9%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15_24. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა? თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.4%	0.0%	0.0%	.5%
არ დასახელდა	სიხშირე	66	105	25	196
	%	90.4%	94.6%	92.6%	92.9%

დასახელდა	სიხშირე	6	6	2	14
	%	8.2%	5.4%	7.4%	6.6%
სულ	სიხშირე	73	111	27	211
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

